

კოეანტატორი

№5



ფასი: 1,50 ლარი

საფეხურთო ჟურნალი, რომელიც ატყველდება

მაფის კვალდაკვალ

გვ. 10



გვ. 13



ფეხბუთის მესია
ეს მესია

გვ. 23



ტასა


გვ. 9



შაჰი აჰაზა

მთავარი რედაქტორი

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი



მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების მეხუთე ბურთი.
შვეიცარია, 1954 წელი.

დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მოგზავნიანია თქვენი წარმატებისთვის!

დამფუძნებლები:

კობა ბედოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50

<http://bedoidze.site.ge/>

ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;

ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com

tariel1981@hotmail.com



სარჩევი

ძველი „დინამოს“ აფეთქებები ----- 4
 შავი ავაზა----- 9
 მეფის კვალდაკვალ ----- 10
 უდიდესი სენსაციის ავტორები ----- 11
 ფეხბურთის მესია ეს მესია----- 13
 მრავლისმეტყველი ფაქტები ----- 14
 ეს იყო, იყო!..----- 15
 ფერგიუსონი მანჩესტერამდე----- 16
 „დიაგონალიდან“ „ტრიპემდე“----- 18
 ბასა----- 23
 საფეხბურთო კროსვორდი ----- 24
 საფეხბურთო ტვინსალრღნელი ----- 26



2016 წლის ევროპის ჩემპიონატის
 სავაჭრო-სეზონი D ჯგუფი




გერმანია
 ირლანდია
 პოლონეთი
 შოტლანდია
 საქართველო
 გიბრალტარი



მსაჯულთა კანდიდები:

1. საქართველო – ირლანდია 07.09.2014
2. შოტლანდია – საქართველო 11.10.2014
3. გიბრალტარი – საქართველო 14.10.2014
4. საქართველო – პოლონეთი 14.11.2014
5. საქართველო – გერმანია 29.03.2015
6. პოლონეთი – საქართველო 13.06.2015
7. საქართველო – შოტლანდია 04.09.2015
8. ირლანდია – საქართველო 07.09.2015
9. საქართველო – გიბრალტარი 08.10.2015
10. გერმანია – საქართველო 11.10.2015

P.S. 2015 წლის 29 მარტს საქართველოს ნაკრები თბილისში გერმანიას დაუპირისპირდება. 1995 წლის 29 მარტს საქართველო და გერმანია ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. ზუსტად 20 წლის შემდეგ მსოფლიოს სამ გზის ჩემპიონებს კვლავ ვუმასპინძლებთ.





მანსახალი

**ქველი „დინამოს“
აფეთქებები**

თბილისის „დინამოს“ არაერთ საერთაშორისო მატჩში აქვს მონაწილეობა მიღებული, რომელთა შორის 1970-1980-იან წლებში გამართული ევროპის თასების გათამაშების რამდენიმე თამაში ავარჩიეთ. გესურს შემოგთავაზოთ ამ მატჩების შესახებ სახელოვანი ადამიანების კომენტარები...

**შეჯას თასი. 13.09.1972. 1/32.
«დინამო» - «ტვენტი»
(პოლანდია) 3:2.**

ირაკლი აბაშიძე (პოეტი-აკადემიკოსი):

„დინამოს“ საზღვარგარეთელ სტუმრებთან შეხვედრის მდიდარი ტრადიციები აქვს. რამდენჯერ ჩამოსულან თბილისში ფეხბურთის სამყაროში სახელგანთქმული გუნდები, რომელთა მხოლოდ სახელის გაგონებაც კი გულს უთრთოლებდა ჩვენს გულშემატკივრებს. გაჭედილი ტრამვაები, ავტობუსები, სტადიონისაკენ მიმავალთა დაუსრულებელი ნაკადი ასეთ დღეებში – განა შეიძლება ამის დავიწყება, განა შეიძლება ეს არ მივათვალოთ იმას, რასაც თბილისის არომბატი ეწოდება. ეს ქალაქის მკვიდრთა დიდი დღესასწაული იყო და მე მიხარია, რომ ჩვენ მისგან ბევრი რამ დაგვრჩა. ასეთ დღეებში, როგორც არასდროს, გრძნობ, რომ შენ დიდ ქალაქში დაკარგული ქვიშის ნამცეცი კი არა, არამედ მისი ნაწილი, მისი ხალხის ნაწილი ხარ. ახლა ასეთ აღმავლობას მე მნიშვნელოვნად სახალხო დღესასწაულის – „თბილისობის“ დროს განვიცდი.

გულახდილად რომ ვთქვა, მე არ მგონია, რომ ჰოლანდიელებთან შეხვედრა რაიმეთი განსხვავდებოდა იმ მრავალი ამხანაგური თამაშებისაგან, რომლებიც ჩვენს ქალაქში განსაკუთრებით ხშირად იმართებოდა ომისშემდგომ წლებში. დაახ, რასაკვირველია, ეს იყო თითქმის პირველი ოფიციალური მატჩი ევროპულ ასპარეზობებში.

მართალია, თამაშით ჩვენ მთლად კმაყოფილი არ ვიყავით: ჰოლანდიელები, როგორც ჩანდა, კმაყოფილნი სტოვებდნენ მოედანს, მაშასადამე – რალაცაში ჩვენ ვერ შევექვით მათი ჯობნა, რალაც შანსები დავუტოვეთ მათ. თუ გახსოვთ, ასეც მოხდა: იქ, ჰოლანდიაში, ჩვენებს ერთობ გაუჭირდათ. მაგრამ ვერავის დავადანაშაულებთ – ბურთი, როგორც ამბობენ, მრგვალია, მინდორი კი სწორი... მაგრამ იმ ადამიანის გულსა და მასხვობაში, რომელსაც უყვარს ფეხბურთი და ჩვენი „დინამო“ – ამ თამაშს, სულ ერთია, მაინც მოეძებნება ადგილი... (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 3:4 ნააგეს და გამოეთიშნენ გათამაშებას)

**შეჯას თასი. 17.09.1973. 1/32.
«დინამო»**

**- «სლავია» (ბულგარეთი) 4:1
ზინა მანჩელი (კომპოზიტორი)**

– დინამოელებმა ბოლომდე მაინც ვერ გაუძლეს და უკანასკნელ წუთებზე გოლი გაუშვეს საკუთარ კარში. ოჰ, როგორ ვკიცხავდი მათ ამისათვის, რადგან მახსოვდა შარშანდელი მარცხი „ტვენტესთან“.

მაგრამ ბევრ რამეს ახლა მე ცხელ გულზე ვლაპარაკობ –



გავიხსენე მატჩი, ყველა მისი ნიუანსი და ავლელდი, თითქოს ეს გუშინ იყო. იმ წლებში, უფრო ზუსტად კი იმ წელს, „დინამოს“ კოლექტივს ციებ-ცხელება ჰქონდა დამართული, სიძნელეები იყო თაობათა ცვლის გამო. გუნდიდან წავიდა გაბრიელ კაჩალინი, კოლექტივთან მუშაობას შეუდგა ახალი მწვრთნელი, ეს პროცესები კი ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობენ. 1973 წლის სეზონიც მთლად წარმატებით არ დასრულდა. საბჭოთა კავშირის პირველობაზე დინამოელები თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად გამოვიდნენ, ამასთანავე, ქვეყნის თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ. მაგრამ ხომ იცით გულშემატკივარი როგორია, მიეცი მას პატარა იმედი და თავის გუნდს უკვე ჩემპიონად, გამარჯვებულად წარმოიდგენს. „სლავიასთან“ მატჩის შემდეგაც ასე იყო. ამ თამაშმა ახალი ძალები შეგვმატა, შთაგვიწერა იმისი იმედი, რომ „დინამო“ ბოლოს და ბოლოს თავის ფეხბურთს ითამაშებს (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 4:3 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს ბულგარელები).

**თასების მფლობელთა თასი.
15.09.1976. 1/16.
«პარტიზ სტი» (სერბი) -
«დინამო» 1:0.**

ეროსი მანჯგალაძე (მსახიობი და კომენტატორი)

რადგან უელსიდან ტელევიზიით გადაცემა არ შედგა, ყოველ გულშემატკივარს შესაძლებლობა ჰქონდა ამ მატჩის შესახებ მეტნაკლებად დამოუკიდებელი აზრი შეედგინა,



რომელიც დაზღვეული იყო სპორტული კომენტატორების ნაჩქარევ შეფასებათა შემოქმედებისაგან. აი ერთი ასეთი დამოუკიდებელი აზრი: ბარაქალა დინამოელებს! იმის მიუხედავად კი, რომ წააგეს. მთავარია, რომ ისინი არაფერში ჩამოუვარდნენ მეტოქეს. ის კი არა, საკუთარ კარში ჯენტლმენურად ბურთის გატანის შესაძლებლობაც კი მისცეს მათ, ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ თამაშის შემდეგ დინამოს კოლექტივში, რამდენადაც მე ვიცი, ნისლიანი კუნძულის გუნდების ძლიერებაზე გაზვიადებული წარმოდგენა იყო გამეფებული. მაგრამ, აი ისინი ჩამოფრინდნენ კარდიფიდან და გულშემტკიცერებს უკვე სანინაალმდეგო რამ ან უხეხდათ: მეტისმეტად ხომ არ არიან დინამოელები თავდაჯერებულნი მომავალ გამარჯვებაში.

იმ წელს გუნდთან მუშაობა დაიწყო ახალმა მწვრთნელმა – ნოდარ ახალკაცმა. „კარდიფ სიტისთან“ თამაშმა გვაჩვენა, რომ „დინამოს“ კოლექტივში გამოჩნდა მაგარი ხელი და იგი – ეს ხელი – ნინაალმდეგი როდი იყო აეტაცა თასების თასი. მაშინ, მართალია, არ მოხერხდა თბილისის „დინამოს“ ყოველი თაყვანისმცემლისათვის ესოდენ სასურველი განზრახვის ხორცშესხმა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩვენმა ბიჭებმა და მათმა მწვრთნელმა სწორედ კარდიფიდან დაინახეს პირველად დიუსელდორფი და ყველაფერი, რაც ჩვენთვის ამ ქალაქთან არის დაკავშირებული. მნიშვნელობა არა აქვს, რომ ამისათვის მათ ზუსტად ხუთი წელი დასჭირდათ... (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 3:1 მოიგეს და გაათამაშებიდან გამოთიშეს უელსელები)

უფას თასი. 14.09.1977. 1/32. «ინტერნაციონალი» (იტალია) - «დინამო» 0:1.

ანატოლი ნორაკიძე (მწვრთნელი):

– ამ შეხვედრაში მე, ალბათ, პირველად ვნახე ჩემი ოცნების „დინამოს“ თამაში: ფეხბურთელთა თამაში,


რომლებიც მკაცრად მიჰყვებოდნენ გეგმას, შეწყობილად და დისციპლინირებულად მოქმედებდნენ. გულახდილად რომ ვთქვათ, ადრე მათ ეს არ ახასიათებდათ. ახალი მწვრთნელის მუშაობამ ნაყოფის მოცემა დაიწყო...

მატჩის შემდეგ ბევრი გულშემტკიცვარი იმას ამბობდა, რომ „ინტერმა“ ყველა თავისი შესაძლებლობა ვერ აჩვენა, რამდენადაც იმ დროისათვის იტალიის პირველობა მხოლოდ იწყებოდა და ფეხბურთელები ჯერ კიდევ თავისი სპორტული ფორმის ზენიტში არ იყვნენ. მინდა მოგაგონოთ, რომ „ინტერი“ ახალბედა არ გახლდათ ევროპულ ტურნირებში და თასებისათვის ბრძოლაც არა ერთხელ დაუწყია იტალიის ჩემპიონატის დაწყების პარალელურად. ამის მიუხედავად, მას არა ერთხელ და ორჯერ მოუპოვებია ბრწყინვალე გამარჯვებები სწორედ ამ სტადიაზე. ასე რომ ეს შენიშვნები უსაფუძვლოა.

მხედველობაში კი, როგორც სჩანს, უფრო ის არის მისაღები, რომ დინამოელებმა, რომლებიც ბურთის



ფლობის ტექნიკით იტალიელებს უტოლდებოდნენ, ჩინებულად გამოიყენეს მოულოდნელობის ფაქტორი – თავდაცვას თავდასხმა ამჯობინეს და თან მაღალი სისწრაფე განავითარეს. ამასთანავე მილანელმა მოთამაშეებმა – როგორც მე მაშინ მეჩვენა – რიგი ტაქტიკური შეცდომებიც დაუშვეს: სადღაც პირველი ტაიმის შუაში მათ აშკარად დაეტყუოთ „ჩავარდნა“ მოედნის ცენტრში, რომელსაც დინამოელები დაეუფლნენ. მნიშვნელოვანი უთანხმოება იგრძნობოდა იტალიელი თავდამსხმელების – ძალ-



ზე ტექნიკური ალტობელის, მორინის, მურანოსა და არც ისე საიმედო შუა ხაზს, დაცვას შორის, თუმცა იქ სახელოვანი ფაქეტი თამაშობდა.

რასაკვირველია, ამ შეცდომებიდან ბევრი მილანელმა მწვრთნელებმაც შენიშნეს და რა თქმა უნდა, შეეცადნენ მათ გამოსწორებას. რა გამოვიდა აქედან – თქვენ იცით თბილისში მეორე მატჩის შედეგით. (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 1:0 მოიგეს და გაათამაშებიდან გამოთიშეს იტალიელები)

უფას თასი. 27.09.1978. 1/32.

«ნაპოლი» (იტალია) - «დინამო» 1:1.

რევაზ თაბუაშვილი (კინორეჟისორი)

– ჩვენი გადამღები ჯგუფი ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ამ დროს ნეაპოლში იმყოფებოდა. ჩვენ ვიღებდით ფილმს უძველესი ქართული ხელნაწერების შესახებ, რომლებიც იტალიის მონასტერში ინახება. გადაღება დასასრულს უახლოვდებოდა, სამუშაო ბევრი იყო, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო განა უარი გვეთქვა სიამოვნებაზე, ამ თამაშის მოწმენი არ გავმხდარიყავით და სამშობლოდან ესოდენ შორს ჩვენი რჩეულებისათვის მხარი არ დაგვეჭირა? სპორტულ დელეგაციასთან ერთად, მახსოვს, სტადიონზე იყო რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი.ხარატიშვილი, რომელიც გუნდს ჩამოჰყვა.

შეხვედრამ ბევრი ამაღელვებელი, მაგრამ სასიხარულო წუთი

განგაცდევინა. ჩვენ ისიც კი შევძელით, რომ მატჩის ზოგიერთი ეპიზოდი და ვიტალი დარასელიას გატანილი გოლი კინოფირზე აღვბეჭდეთ, თამაშის შემდეგ კი პირველებმა მივულოცეთ დინამოელებს. გულწრფელად ვიტყვი: ძალიან სასიამოვნოა იმის ნახვა, როდესაც შენი გუნდი საზღვარგარეთ იმარჯვებს და იმარჯვებს ძლიერ სახელგანთქმულ კლუბთან. უფრო მეტად ამაყობ ჩვენი ბიჭებით, ჩვენი სპორტი. (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 3:1 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს იტალიელები)

ჩეპიონთა თასი. 3.10.1979. 1/16.
«დინამო» - «ლივერპული»
(ინგლისი) 3:0.

ნუნა ბაზრინდაშვილი (ჭადრაკში სუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის):

– ბევრმა იცის, თუ როგორ მიყვარს ფეხბურთი. ჩემს თავს თბილისის „დინამოს“ „ხანდაზმულ“ გულშემატკივრად ვთვლი. მიმაჩნია, რომ ფეხბურთი საჭადრაკო ხელოვნების მსგავსია, ოღონდ ფიგურებს მინდორზე გადაადგილებს არა მოჭადრაკის ხელი, არამედ მწვრთნელის რწმენა და ვარაუდი, თვით მოთამაშეთა ოსტატობა. გონებაბაზვილური კომბინაციები, როდესაც მათი ჩამოყრებილი თამაშს რამდენიმე სვლით წინ ხედავს. ალტაცების გამომწვევი გადაცემები, თავით სწრაფი თამაში, მეკარეთა ლამაზი და გაბედული ნახტომები – განა შეიძლება ყოველივე ამან ადამიანში, მით უმეტეს თუ მას სპორტთან აქვს საქმე, არ გამოიწვიოს მაღალი, კეთილშობი-

ლური გრძნობები, დადებითი ემოციები, არ აღძრას სურვილი იყოს ფიზიკურად ასეთივე სრულყოფილი.

მატჩი
 „ლივერპული“ თბილისში დიდებული გამოვიდა და არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენებმა მოიგეს. ჩემმა ხანგრძლივმა საჭადრაკო გამოცდილებამ დამანახა: ზოგჯერ იმარჯვებ, მაგრამ არაფერს სწავლობ, ხან კი აგებ, მაგრამ ისეთ რაიმეს იძენ, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს შენს შემოქმედებით არსენალს. ჩვენს ბიჭებსაც ასე მოუვიდათ. ინგლისში წააგეს, მაგრამ მიაგნეს თავიანთ თამაშს, იპოვეს ექსტრა კლასის ბევრი ევროპული გუნდის ძლიერების სანაღმდეგო საშუალება. ამ უებარ საშუალებას მე მგონია, საფუძვლად უდევს წინა ხაზის მოთამაშეთა თავდაჯერებულობა. თავდამსხმელები ხომ გრძნობენ გუნდის ზურგის საიმედოობას, რაც მაღალი დონის დაზღვევით გამოიხატება. საკმარისია გავიხსენოთ რა გაბედულად გადიოდნენ წინ შენგელია და გუცაევი. როგორი ბრწყინვალე რეიდი განახორციელა მცველმა ჭილაიამ. სწორედ დაცვის ხაზის ზუსტმა თამაშმა უზრუნველყო ჩვენი გამარჯვება ორი მატჩის ჯამში. ერთიცა და მეორე მატჩიც ნამდვილი საჩუქარი იყო ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისათვის. (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 4:2 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს ინგლისელები)



მოეპოვებინათ. ყურმოკრულად როდი ვიცნობ ფეხბურთს, მაგრამ შიშით გული მიფანცქალებდა, როცა დავით ყიფიანი ან ალექსანდრე ჩივაძე უზუსტესი გრძელი პასებით რომელიმე ჩვენ თავდამსხმელს მორიგ რეიდში აგზავნიდნენ. ასეთი მწვავე და ზუსტი პასისათვის საჭიროა ითამაშო დიდი აღმავლობით, აზარტით, მე ვიტყვოდი, უალრესად დაძაბულად. ჩვენი ბიჭებიც სწორედ ასე თამაშობდნენ.

რამდენადაც ვიცი, ბევრი ინგლისური გაზეთი, როცა ღირსეულად შეაფასეს ჩვენი გუნდი, „ვესტ ჰემის“ წარუმატებლობას მნიშვნელოვანწილად მაინც დაცვის აბრალებდა, რომელმაც ბევრი შეცდომა დაუშვა. გარეგნულად ეს ნამდვილად ასე იყო. მაგრამ ეს ყოველივე ასეა მხოლოდ გარეგნულად, ერთი შეხედვით. „ჩაქუჩების“ დაცვის ხაზის შეცდომები, უეჭველია, დაეხმარა ჩვენს დინამოელებს გოლების ეფექტურად, ელეგანტურად, სანახაობრივად გატანაში, მაგრამ თვით შეცდომები, რასაკვირველია, გამონვეული იყო ჩვენი მოთამაშეების სწრაფი მოქმედებით, გუნდის სწორი ტაქტიკით, რომელმაც შესძლო მთლიანად ჩაეკეტა ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელები, როგორიცაა პოლ გოდარდი, დევიდ კროსი და ტერვორ ბრუკინგი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ საპასუხო მატჩში თბილისში ინგლისელები უფრო მხნედ, შეუპოვრად ითამაშებდნენ და აჩვენებდნენ ყველაფერს, რისი უნარიც შესწევდათ. მაგრამ მთავარი გაკეთებული იყო და გოლების მარაგი უნდა დახმარებოდა ჩვენ ბიჭებს, რომ „ჩაქუჩებისათვის“ ამითვე ეპასუხათ.

და კიდევ, რამდენადაც მასხოვს, სასიამოვნოდ გამაკვირვა იმან, რომ ჩვენმა დაცვამ აჯობა მასპინძლებს

თასების გფლოპალთა თასი.

4.03.1981. 1/4.

«ვესტ ჰემი» - «დინამო» 1:4.

ბაიოზ ჯიჯელავა (სახელგანთქმული ფეხბურთელი)

– „ვესტ ჰემთან“ მატჩი მე ტელევიზორში ვნახე და ვალიარებ, რომ ინგლისელებზე ნაკლებ არ გავვოცდი. ასე დამაჯერებლად ჩვენი „დინამოს“ გუნდი არც ერთხელ, არსად გამოსულა. უმაღლესი სათამაშო დისციპლინა, თავგანწირვა, უიშვიათესი ოსტატობა და ტექნიკა, რაც თავიანთი ძალების რწმენიდან მომდინარეობდა – აი რა დაეხმარა მათ გაემარჯვათ და ბოლოს და ბოლოს თასების თასი



საპაერო ორთა ბრძოლებში. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა შეხვედრა „ტოტენჰემ ჰოტსპურსთან“, რომელმაც თითქმის ყველა გოლი თავური დარტყმით გაგვიტანა. ახლაც არ მოხდა და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩივაძემ და ხინჩაგაშვილმა ითამაშეს საიმედოდ, რომლებმაც მთელი სტადიონის მონონება დაიმსახურეს. ამ თამაშში ნამდვილ ოსტატად მოგვევლინა დინამოელთა ახალწვეული ზაურ სვანაძე. იგი სულ ცოტა ხნის წინ ქუთაისის გუნდში ითამაშებდა და ბუნებრივია, ასეთ მაღალ დონეზე შეხვედრების გამოცდილება არ გააჩნდა. მაგრამ ამან როდის შეაკრთო ახალგაზრდა ნახევარმცველი, იგი თამაშობდა გაბედულად, დამაჯერებლად, დინამოს სტილში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ფეხბურთში არის ღირსეული რეზერვები, არის კარგი ახალგაზრდობა, რომელსაც უნარი შესწევს კიდევ უფრო მაღლა ასწიოს საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი. ისე, როგორც ეს „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში გააკეთეს ჩვენმა დინამოელებმა.

თასების მფლობელი
თასი. 22.04.1981. 1/2.
«ფაინროლი»
(ჰოლანდია)-
«დინამო» 2:0.
გურამ ფანჯიკიძე
(მწერალი):

– როტერდამის მატჩში მიღებული შთაბეჭდილებათა უზარმაზარი მასიდან ძნელია ყველაზე მნიშვნელოვანის გამოყოფა. გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის სახით – მომიხდა რა ჩემი ჟურნალისტური ახალგაზრდობის გახსენება – გავემგზავრე ამ შეხვედრაზე. ძალიან საინტერესო საუბრები მქონდა ჩვენს ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან.

„ფეინრორდის“ სტადიონი, თამაშის დროს, მოქმედ ვულკანს მოგვაგონებდა. გულშემატიკრები თავიანთი გუნდის მოთამაშეთა შესაფერისად იქცეოდნენ. ჩვენ „დინამოს“ კლუბის მოფრიალე დროშებით ვიჯექით ჩვენთვის გამოყოფილ სექტორში და ვცდილობდით როგორც შეგვეძლო გაგვემხნევებინა ბიჭები, ამის საპასუხოდ ზედა რიგებიდან ფეხბურთის მოხულიგნო „მოყვარულები“ ლუდს გვასხამდნენ, საჯდომ

ბალიშებს გვესროდნენ. საშინელი ხმაური იდგა. ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ შეიძლებოდა თამაში ასეთ ვითარებაში.

მაგრამ ისინი – ჩვენი დინამოელები თავშეკავებით, აუღელვებლად თამაშობდნენ, თუმცა ვერ შესძლეს მთელი თავიანთი ტექნიკური არსენალის ჩვენება. მსაჯის არაობიექტურობისა და ჰოლანდიელთა უხეშობის მიუხედავად, არც ერთხელ არ შემდრკალან, არ დაბნეულან და არც პანიკაში ჩავარდნილან. მარტო ეს უკვე იმის მაჩვენებელი იყო, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა სავსებით აითვისეს საერთაშორისო ტურნირების გარემოება, რომ მათ სჯერათ თავიანთი ძალებისა.

გუნდის მაღალპროფესიონალიზმზე ისიც მიუთითებდა, რომ მოთამაშეებმა მთლიანად შეასრულეს მწვრთნელის დავალებები – თამაში ააგეს კონტრშეტევებზე, გაიტანეს სამი გოლი, რომლებიც არ ჩაითვალა.



მოიპოვეს ორი პენალტის უფლება და თუ მსაჯი მწყრალად იყო საკუთარ სინდისტან – ეს ჩვენი ფეხბურთელების ბრალი როდია.

დარწმუნებული ვარ, არბიტრს რომ ჩაეთვალა შენგელიას მიერ გატანილი პირველი გოლი, ჰოლანდიელები შეურიგდებოდნენ წაგებას და მშვიდად, უხეშობის გარეშე ითამაშებდნენ. თუმცა, იქნებ ჩვეულებრივ გამარჯვებას არც მოეტანა ამდენი სიხარული ჩვენთვის, გულშემატიკრებისთვისაც და თვით ფეხბურთელებისთვისაც.

მასხოვს მატჩის შემდეგ, გასახდელში, როგორ გაისმა ჩვენი „მრავალჟამიერი“ „ცისფერი ტრიოს“ შესრულებით. ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ულოცავდნენ, მე კი ვუყურებდი დავით ყიფიანის, შოთა

ხინჩაგაშვილისა და სხვების დასისხლიანებულ ფეხებს და ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენად ცოტა ვიცით ჩვენი ბიჭების ვაჟკაცობაზე. ამაზე მეტი უნდა დავწეროთ, მოვუთხროთ, ვაჩვენოთ – მათ დაიმსახურეს ის, რომ დინამოელთა მომავალი თაობები ამ დიდებულ ტრადიციებზე აღიზარდოს. (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 3:2 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს ჰოლანდიელები)

თასების მფლობელი
13.05.1981. ფინალი.
«დინამო» - «პარე ცაისი»
(ბერ) 2:1.

გავრილ კახალიანი (მწვრთნელი)

არ იყო საჭირო ბრძენი ყოფილიყავი, რომ დინამოელთათვის თასების თასის ფინალში გამარჯვება გენინანსარმეტყველა. რასაკვირველია, შეიძლებოდა მომხდარიყო შემთხვევითობა, მაგრამ ეს სწორედ რომ შემთხვევითობა იქნებოდა და მეტი არაფერი. თბილისელებმა, უბრალოდ, დაიმსახურეს თასი – მთელი ტურნირის მანძილზე. მე სრულიად გასაგები ინტერესით (როგორც ფეხბურთის სპეციალისტი და როგორც გუნდის ყოფილი დამრიგებელი) ვადევნებდი თვალს დინამოელთა თამაშს, მათ მონინალმდეგეთა თამაშს, იმ მომენტში ევროპული ფეხბურთის მდგომარეობას და მართალი გამოვდექი: იმ ტურნირში მათ ტოლი არ ჰყავდათ.

რაც შეეხება დისკულდორფის შეხვედრას, აქ არ შეიძლება ორი აზრი იყოს: გამარჯვება უზრუნველყო „დინამოს“ დამრიგებელთა გამჭრიახობამ. როგორც „ლივერპულის“, „უოტერფორდის“, „ვესტ ჰემისა“ და ევროპის სხვა გრანდების შემთხვევაში, მათ გუნდი მეტოქეს კი არ შეაგუეს, არამედ ჩინებულად გამოიყენეს მოულოდნელობის ფაქტორი და მოთამაშეები საიერიშოდ, „თავიანთი“ ფეხბურთის სათამაშოდ განაწყეს, რომელიც ალსავსეა ტექნიკითა და ოსტატობით. ამასთანავე ძალზე მონესრიგებულია თავდაცვაში.

გერმანელმა ფეხბურთელებმა – ერთსულოვანმა, ათლექურად კარგად მომზადებულმა და დისციპლინირებულმა გუნდმა მაღალ

დონეზე ჩაატარა მატჩი. მათ ზუსტად შეასრულეს მწვრთნელის მითითებები, მაგრამ პირველი გოლის შემდეგ, მე შევატყე, ისინი მაინც არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ თავში. სპორტსმენებმა მთელი ძალები თბილისელთა კოლექტიური თამაშის ჩახშობას მოახმარეს, მონინალმდევგის ინდივიდუალური თვისებები კი დაავიწყდათ და ამისათვის დარასწულაიმ სასტიკად დასაჯა ისინი. მისი გარღვევა და საუცხოო გოლი საფინალო სასტვენის ხმამდე სამი წუთით ადრე – ამის ნათელი დასტური იყო.

**თასების მფლობელთა თასი.
16.09.1981. 1/16.**

«დინამო» -

«ბრასერო» (ავსტრია) 2:0.

პოტი მახარაძე (მსახიობი და კომენტატორი):

– ჩემს ცხოვრებაში მე, ისევე როგორც ბევრ ჩემს კოლეგას, რამდენჯერ წარმოგვითქვამს ეს ამალელებელი სიტყვები: „ლაპარაკობს და აჩვენებს თბილისი...“ ზოგჯერ მათ მოჰყვებოდა ხოლმე მწარე ამბავი ჩვენი გუნდის მარცხის თაობაზე, უფრო ხშირად კი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ნაამბობი მსოფლიოს უძლიერესი გუნდების მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე. და აი დადგადრო, როცა სანუკვარმა სიტყვებმა „ლაპარაკობს და აჩვენებს თბილისი...“ რაღაც არაჩვეულებრივი ნონადობა შეიძინეს: დიახ, ბოლოს და ბოლოს, თბილისი და მისი გუნდი ტოლს არ უდებენ ძლიერთ ფეხბურთის სამყაროში, ბოლოს და ბოლოს თბილისის გუნდი ექსტრა-კლასის თამაშს აჩვენებს ევროპულ გრანდებს.

„გრაცერის“ გუნდთან თამაშით – თბილისელები კი მრავალი წლის წინ ავსტრიაში შეხვდნენ მას და წააგეს – ძნელია ვიმსჯელოთ რამდენად ძლიერია ჩვენს ფეხბურთელებში თასების თასის გათამაშებაში წარმატების განმეორებისაკენ დაუოკებელი სწრაფვის სულისკვეთება. ტრავმირებული არიან წამყვანი მოთამაშეები, იგრძნობა დაღლილობა ესპანეთის ტურნირის შემდეგ, მაგრამ ავსტრიის გუნდიც ხომ არცთუ ისე ძლიერი მეტოქეა და მაინც, ჩემი შეხედულებით, კო-

ლექტივიში უწინდებურად იგრძნობა ის შეთანხმებულობა და შინაგანი ფეთქებადი ძალა, რაც მას ამასწინათ დაეხმარა ევროპული ფეხბურთის ოლიმპოს დაუფლებაში. კოლექტიური თამაშის გამუდმებულმა სრულყოფამ იოტისოდენადაც კი ვერ გაანელა მათში სწრაფვა ლამაზი ინდივიდუალური გარღვევებისადმი – რომლებიც კარგად მომზადებული ტოტალური იერიშების ლოგიკურ გაგრძელებად იქცნენ.

მატჩში შესანიშნავად ითამაშა ახალგაზრდა ვაჟა ჟვანიამ, შეუდარებელი იყო ვლადიმერ გუცაევი და – თუ არა მის მეურვეთა არასპორტული საქციელი – ვინ იცის, კიდევ რით გაიბრწყინებდა თბილისელთა მარჯვენა გარემარბი. მას ხშირად უსაყვედურებენ, რომ მეტისმეტად დრამატულ ელფერს აძლევს თავის ნაქცევებს, დაუფილობას, კოჟოჟებს. მაგრამ უნდა იცნობდე ვალოდია გუცაევს, რომ გაიგო, რა ძნელია, რა აუტანლად სწყინს ხოლმე მას, როდესაც მონინალმდევგის „ჭუჭყიანი“ თამაშის

მატჩის ჯამში 4:2 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს ავსტრიელები)

თასების მფლობელთა თასი.

21.10.1981. 1/8.

«დინამო» - «ბასტია»

(საფრანგეთი) 3:1.

ზორის პაიჭაძე (სახელგანთქმული ფეხბურთელი):

– დინამოელთა ყველა თაობა ამაყობს მშობლიური კლუბის წარმატებით. ჩვენ ალტაცებით ვადევნებდით თვალს დინამოელთა თამაშებს, რომლებმაც იგი დიუსელდორფის ტრიუმფამდე მიიყვანეს. მოუთმენლად ველით ამის გამეორებას ახალ სეზონში.

ჩვენი გუნდიდან დღეს ვერც ერთი მოთამაშის გამოყოფას ვერ შევძლებდი. ყველა თანაბრად იმსახურებს ქებას და პირველი საქებარი სიტყვა ეკუთვნის მათ კოლექტიურობას, შეთანხმებულობას, თამაშის მაღალ კულტურასა და დისციპლინას. გუნდში ნაკლებია „ვარსკვლავები“ – სამაგიეროდ უფრო მეტია ურთიეთდახმარება, ურთიერთმიშველება, დაზღვევა, სტაბილურობა. თვალყურს ვადევნებდი დინამოელთა ყველა თამაშს და ვხედავ, როგორ განუხრელად იზრდება მათი ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობა, როგორ კარგად ეუფლებიან ისინი თამაშის კონსტრუირების, რამდენიმე სვლით ადრე მისი დანახვის რთულ ხელოვნებას.

დინამოელთა უფროსი თაობის სახელით, იმათი

სახელით, ვინც ოდესღაც კლუბის სახელოვანი ისტორია დაიწყო, მინდა ახალი გამარჯვებები ვუსურვო გუნდის ახლანდელ შემადგენლობას, მის დამრიგებლებს. ჩვენ კვლავაც მზადა ვართ ნებისმიერი შესაძლო დახმარება აღმოვუჩინოთ ჩვენს მემკვიდრეებს – სიტყვიან და საქმით, რჩევით სავარჯიშო მოედანზე და ტრიბუნებზე კი ქომაგობით. დაე „დინამოს“ შესანიშნავი ჰიპნი მომავალშიც განადიდებდეს ჩვენი გუნდის, ჩვენი ქვეყნის სახელს! (დინამოელებმა ორი მატჩის ჯამში 4:2 მოიგეს და გათამაშებიდან გამოთიშეს ფრანგები)



გამო წყალში იყრება არა მარტო მისი საკუთარი, არამედ მთელი გუნდის გარჯა კონცენტრირებული შეტევის ორგანიზებისას, რომელსაც ხშირად ის ამთავრებს.

ავსტრიის „ზღუდეს“, დაბრკოლებას „გრაცერის“ სახით თბილისის „დინამო“, მე მგონია, გადალახავს. შემდეგ კი უფრო ძლიერი მონინალმდევნი იქნებიან. გუნდის მწვრთნელებმა, რასაკვირველია, იციან ამის შესახებ და უფრო სერიოზული გამოცდებისათვის ამზადებენ ფეხბურთელებს. ძალიან მინდა მათ ამაში დიდი წარმატება ვუსურვო. (დინამოელებმა ორი

ტიპანები

შავი ავაზა



შეგახსენებთ, რომ ეუსებო 1942 წლის 25 იანვარს პორტუგალიის აღმოსავლეთ აფრიკაში, ქალაქ ლორენსუ-მარკეში (დღევანდელი მონამბიკი-მაპუტუ) დაიბადა და რადგან ის ზანგი იყო, თამაშის დროს კი უალრესად მოქნილი მოძრაობებით გამოირჩეოდა – „შავი ავაზა“ შეარქვეს. ეუსებოს საფეხბურთო პოტენციალი მრავალი ლირსებით იყო შემკული. მას მოედანზე ორიენტაციის უტყუარი გრძნობა ჰქონდა. ის დაცვაში ძლიერი თამაშით არ გამოირჩეოდა, თუმცა იერიშების დასრულების მომენტებში ბადალი არ ჰყავდა. იგი თავისი საოცარი ინსტიქტის წყალობით მეკარეების ნამდვილი რისხვა იყო.

პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა პასუმ კოელიუმ ეუსებოს გადაცვალის შემდეგ თქვა: „ეუსებო გენიალური მოთამაშე და პიროვნება იყო. ის საქმეს ყოველთვის პროფესიონალური დამოკიდებულებით უდგებოდა. მან პორტუგალიელი ერის

ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა“.

გთავაზობთ ყველა იმ ჯილდოს რაც კი ეუსებომ ფეხბურთში მოიპოვა: მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები ეუსებოს დიდებული თამაშის წყალობით მესამე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი პორტუგალიის ნაკრებისთვის დღემდე საუკეთესოა.

1961 - 1962 წლებში „ბენფიკასთან“ ერთად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი.

1961, 1963, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1971, 1972, 1973, 1974. ამ წლებში ეუსებო პორტუგალიის ჩემპიონი გახდა.

2014 წლის 5 იანვარს 71 წლის ასაკში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებო და სილვა ფერიერა გულის შეტევით გარდაიცვალა. „შავი ავაზას“ მეტსახელით ცნობილმა ფეხბურთელმა თავისი კარიერის დიდი ნაწილი საფეხბურთო კლუბ „ბენფიკაში“ გაატარა, ხოლო ნაკრებში ჩატარებულ 64 მატჩში 41 გოლი გაიტანა. ის „ოქროს ბუცის“ მფლობელიც არის.


1962, 1964, 1969, 1970, 1972. ამ წლებში კი პორტუგალიის თასს დაეუფლა.

1976 წელს მექსიკის ჩემპიონატში იპირველა.

1976 წელს სამხრეთამერიკული საფეხბურთო ლიგა მოიგო.

1965 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

1966 წელს ცხრა გატანილი გოლით მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ეუსებო შესულია ფიფას ასეულის სიაში.



ნოელ გალათერი



უჩიიანი უჩიანი

„ყოველ ჯერზე, როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები მანჩესტერში ბენზინს ჩაასხამენ, ჩვენი კლუბის ტრანსფერებს დააფინანსებენ.“

ასე იხუმრა, ჯგუფ „ოაზისის“ გიტარისტმა და „მანჩესტერ სიტის“ ქომაგმა ნოელ გალათერი, როდესაც „აბუ დაბი ჯგუფის“ არაბმა მენავთობე ბიზნესმენებმა მისი საყვარელი კლუბი შეიძინეს.

ისტორიული ჩაქვჩი

მეფის კვალდაკვალ

ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმას მართლაც ფენომენალურმა თამაშმა აღაფრთოვანა მთელი მსოფლიო. ერთ აუნერელმა მისმა ტექნიკამ, განუმეორებელმა დრიბლინგებმა და უამრავმა ულამაზესმა გოლმა იმ პერიოდში საფეხბურთო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და რონალდო ფეხბურთის მეფის „ტახტის“ მემკვიდრედ აღიარეს.

ოცდაერთი წლის რონალდოს უკვე უამრავი ინდივიდუალური და გუნდური ჯილდო ჰქონდა მოგებული. დავინყოთ იმით, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში რონალდო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ეს მის აქტივში არ შემაქვს, რადგან აშშ-ში 1994 წელს ფეხბურთის მომავალი ფენომენი მოედანზე არ გამოჩენილა. აი, სხვა გუნდურ წარმატებებში მისი ღვაწლი განუზომელი იყო. ოცდაერთ წლამდე ის გახდა: ჰოლანდიისა და ესპანეთის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი, დაეუფლა ჰოლანდიის თასსა და ესპანეთის სუპერ თასს, მოიგო უეფას თასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მოიგო „კოპა ამერიკა“, გაიმარჯვა კონფედერაციის თასზე, ორჯერ დასახელდა მსოფ-

ლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, ერთხელ გადაეცა ოქროს ბურთი და ესპანეთის ჩემპიონატში გატანილი ოცდაათობმეტი გოლის გამო ოქროს ბურთის მფლობელიც გახდა. ყველა ამ მოგებულ ტურნირში რონალდო ბრწყინავდა და იმ გუნდებში, სადაც ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია, ის გამოკვეთილი ლიდერი იყო.

როგორც ავლინუნე, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე იგი სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა, ოთხი წლის შემდეგ გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ნაკრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. ფინალამდე მან ძალიან ძლიერად და შთამბეჭდავად ითამაშა – ექვს თამაშში გაიტანა ოთხი შესანიშნავი გოლი და საგოლე პასების ავტორადც არაერთხელ მოგვევლინა.



ტურნირის მასპინძელ საფრანგეთის ნაკრებთან ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის წინ კი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მეტოქეთა განაცხადებში არ ეწერა რონალდო. ამ ინფორმაციამ მთელი საფეხბურთო მსოფლიო გააოგნა. რამდენიმე წუთში სააგენტოებმა ახალი ვერსია გაავრცელეს, რომლის თანახმადაც ბრაზილიის ნაკრებში რონალდო ითამაშებდა, თუმცა ეს ის წუთები იყო, როდესაც მსოფლიომ არ იცოდა, რომ იმ დღეს, შუადღისას, სასტუმრო ოთახში რობერტო კარლოსის თვალწინ რონალდოს ნერვული სტრესი მოუვიდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა – მარიო ზაგალომაც, შესაბამისად, შემადგენლობა დაასახელა, მაგრამ რონალდო გონს მოვიდა და სტადიონისკენ გაემართა, რის გამოც ზაგალომ თერთმეტი კაცის სია შეცვალა. საბოლოოდ, ფინალში ბრაზილიელები 0:3 დამარცხდნენ ფრანგებთან. მიუხედავად ამ მარცხისა, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ რონალდო დასახელდა. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მან კიდევ მოიგო „კოპა ამერიკა“ და გუნდში კვლავ გამორჩეული იყო.



ბარსელონელი რონალდო და რეალელი რობერტო კარლოსი


ფეხბურთის ფენომენმა როდესაც უმძიმესი ტრავმა მიიღო და მასზე თითქმის მთელმა მსოფლიომ ჩაიქნია ხელი, უდიდესი ნებისყოფის გამოვლინებისა და თავდადებული ვარჯიშის ხარჯზე, იმდენი მოახერხა, – თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, დიდ ფეხბურთს

დაუბრუნდა და მსოფლიოს მეჩვიდმეტე, მისთვის კი მესამე ჩემპიონატზე სრული ფურორი მოახდინა. რონალდო მსოფლიოს ჩემპიონი და რვა გატანილი გოლით ჩემპიონატის ერთპიროვნული საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში უნიკალური შედეგი აჩვენა – მოიგო რა ყველა შვიდივე შეხვედრა ძირითად დროში. ბრაზილიელი მესამედ დასახელეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად და მეორედ გადასცეს ოქროს ბურთი. მას შემდეგ რონალდო კიდევ დაეუფლა ტიტულებს, მოიგო: ესპანეთის ჩემპიონატი, მეორედ აღმართა ესპანეთის სუპერთასი და კვლავ გახდა პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი.

აღნიშვნას იმსახურებს ერთი ფაქტიც: იმ სტადიონზე სადაც რონალდომ გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი გაუტანა, იმავე წელს მისთვის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა.

მან მადრიდის „რეალთან“ ერთად საკონტინენტაშორისო თასი მოიგო და იოკოჰამას „ინტერნეიშენალის“ არენაზე გოლი კვლავ გაიტანა, რის შემდეგაც მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა და ამ დიდებულ სტადიონს მოქმედი ფეხბურთელის – რონალდოს სახელობის სტადიონი ეწოდა.

გეტყვიტ იმასაც, რომ მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი ტურნირების გადამწყვეტ მატჩებში ფენომენს რვაჯერ უთამაშია და აქედან შვიდში გოლები გაიტანა. მსოფლიოს ჩემპიონატის და კონფედერაციის თასის ფინალებში კი სულაც დუბლი და ჰეთ-თრიკი შეასრულა. რონალდოს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეტოქე გუნდების კარი ყველაზე მეტჯერ აქვს დალაშქრული. თავისი სარეკორდო მეთხუთმეტე გოლი მან 2006 წლის გერმანიის მუნდიალზე, მერვედფინალურ შეხვედრაში განის ნაკრების მეკარე კინგსტონის კარში გაიტანა და ლეგენდარული გერმანელი გოლეადორის გერდ მიულერის რეკორდი მისსავე სამშობლოში დაამხო.



მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის მეფის გვირგვინი კვლავ ხელშეუხებელია – რონალდომ თავის საფეხბურთო კარიერაში, პელეზე არანაკლები გუნდური და ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა.

უდიდესი სენსაციის აკბოჯოკი

1992 წელს რიჩარდ ნილსენის მიერ განვრთნილი დანიის ნაკრების წევრები დასასვენებლად იყვნენ წასულელები, როდესაც გაიგეს, რომ მათ ევროპის ჩემპიონატზე უნდა ეთამაშათ.

იმ დროისთვის საკვალიფიკაციო ეტაპი შვიდი ჯგუფისგან შედგებოდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველადგილოსნები გადიოდნენ. შესარჩევი ეტაპის მეოთხე ჯგუფში პირველი ადგილი იუგოსლავიის ნაკრებმა დაიკავა, სადაც თამაშობდნენ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები: მიჰაილოვიჩი, პროსინეჩი, სავიჩევიჩი და საკვალიფიკაციო რაუნდის საუკეთესო ბომბარდირი პანჩევი. სამწუხაროდ იუგოსლავიას პოლიტიკური პრობლემები შეექმნა, ქვეყანა ჩაება ომში, რის გამოც იუგოსლავიის მართველობამ არ მისცა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება. შესაბამისად ფინალურ ეტაპზე ჯგუფში მეორე ადგილზე გასული დანიის ნაკრები გავიდა.



პირველ ჯგუფში: მასპინძელი შვედეთის, დანიის, საფრანგეთის და ინგლისის ნაკრებები მოხვდნენ. ჩემპიონატის გახსნის მატჩში მასპინძლები და საფრანგეთის ნაკრები ერთმანეთს 1:1-ზე დაუზავდნენ. დანია და ინგლისმაც ფრედითა მათ შეხვედრაში 0:0 დაფიქსირდა. მეორე ტურში საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრების დაპირისპირება კვლავ უგოლოდ დასრულდა, ხოლო შვედებმა ბროლინის ერთადერთი გოლით დაამარცხეს დანიის ნაკრები. ბოლო ტურის წინ შვედებს ოთხი ქულა ჰქონდათ, ინგლისელებს და ფრანგებს ორ-ორი, დანიას კი ერთი. ჯგუფური ეტაპის დასკნით სტადიაზე ტომი სვენსონის შვედეთმა ინგლისს ერიქსონის და ბროლინის გოლებით 2:1 სძლია და ტელიორის ნაკრები ჯგუფში ჩატოვა. მეორე ნახევარფინალის ვინაობა კი საფრანგეთისა და დანიის ნაკრებების ურთიერთშეხვედრაში გაირკვა. პირველი ტაიმი დანიელებმა განსაკუთრებული შემართებით დაიწყეს. ანგარიში უკვე მატჩის მე-8 წუთზე ლარსენმა გახსნა. მე-60 წუთზე პაპენმა წონასწორობა აღადგინა, თუმცა შეცვლაზე შესულმა ელსტრუპმა



პიტერ შმეიხელი დანიელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო.

78-ე წუთზე გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა და დანიის ნაკრები ნახევარფინალში გაიყვანა.

მეორე ჯგუფში კი ტურნირის ორი მთავარი ფავორიტი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ჰოლანდია და ასევე მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრები გამოდიოდა. პირველ ტურში ჰოლანდიის ნაკრები შოტლანდიელებს დაეჯახა და ბერგკამპის ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო კიდეც მატჩი. მეორე ჯგუფის მეორე მატჩში დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის) და გერმანიის ნაკრებმა ფრედ 1:1 ითამაშეს. მეორე ტურში გერმანიამ რიდლეს და ეფენბერგის გოლებით 2:0 დაამარცხა შოტლანდია. ჰოლანდიის ნაკრებისა და დსთ-ს შერკინება კი უგოლო ფრით დასრულდა. მესამე ტურში პირველი ადგილისთვის ჰოლანდია და გერმანია იბრძოდნენ. რინუს მიხელსის გუნდმა 3:1 იმარჯვა გერმანიასთან და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. შოტლანდიელებმაც სამი, ოლონდ უპასუხო ბურთი გაუტანეს დსთ-ს.

ნახევარფინალურ მატჩში შვედეთის და გერმანიის ნაკრებების შეხვედრა ძალზე დრამატული გამოდგა. ანგარიში მე-11 წუთზე გერმანელმა ჰესლერმა გახსნა. მეორე ტაიმში კი რიდლემ ორბურთიანი გახადა თავისი გუნდის უპირატესობა. შვედებმა გაიბრძოლეს და ბროლინმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ რიდლემ 88-ე წუთზე დუბლი გაიფორმა, თუმცა ზუსტად ერთ წუთში ანდერსონმა კვლავ

მინიმალური გახადა გერმანელთა უპირატესობა. საბოლოოდ მატჩი გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ნახევარფინალურ მატჩიც არანაკლებ დაძაბულად წარიმართა. ნილსენის გუნდმა კვლავ აქტიურად დაიწყო თამაში და მე-5 წუთზე ლარსენის გოლით დაწინაურდა.

ცოტა ხანში, შეხვედრის 23-ე წუთზე ბერგკამპმა თავისი მესამე გოლი შეაგდო ტურნირზე – ზუსტად ათ წუთში კი ლარსენმა მეორე ბურთი გაიტანა და კვლავ წინ გაიყვანა დანიის ნაკრები. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთი იყო დარჩენილი, როდესაც რაიკაარდმა გაიტანა და მატჩი პენალტების სერიამდე მივიდა. იქ კი დანიის ნაკრებმა და მათმა მეკარემ შმეიხელმა იმარჯვა, რომელმაც გადამწყვეტი დარტყმა თვით მარკო ვან ბასტენს აულო და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

ფეხბურთის გულშემატკივართა უმრავლესობა გერმანიის ნაკრების გამარჯვებას ვარაუდობდა და ფინალური მატჩი აქტიურადაც დაიწყო. ბერტი ფოგთსის შეგირდებმა. პირველი სახიფათო მომენტი გერმანელებმა შექმნეს. როიტერმა ცენტრამდე აიტანა ბურთი და ზამერს გადაანოდა, – ამ უკანასკნელმაც შესანიშნავად იმოქმედა, ბურთი საჯარიმოში შეუგდო როიტერს, თუმცა მას შმეიხელმა აჯობა. დანიელთა პირველივე შეტევა კი იენსენის შესანიშნავი გოლით დასრულდა. ამის შემდეგ გერმანიამ დიდი უპირატესობა მოიპოვა. კარგი მომენტი ჰქონდა კლინსმანს, ეფენბერგს, მაგრამ შმეიხელი საიმედოდ ირჯებოდა. მეორე ტაიმშიც გერმანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ვერა და ვერ გაიტანეს გოლი. მატჩის 78-ე წუთზე ფოლფარტმა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გერმანიის ნაკრებს მეორე გოლი გაუტანა და ფინალურ ეტაპზე შემთხვევით მოხვედრილი დანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დანიელთა გუნდის გამორჩეული ლიდერი, მეკარე პიტერ შმეიხელი დაასახელეს. ტურნირის ბომბარდირები კი სამ-სამი გატანილი გოლით, ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გახდა. ესენი არიან: დენის ბერგკამპი, თომას ბროლინი, ჰენრიკ ლარსენი და კარლ-ჰინც რიდლე.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი ერთ-ერთ ყველაზე სენსაციურად ითვლება დიდ სანაკრებო ტურნირებს შორის. მართლაც დანიის ნაკრების ჩემპიონობას ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე. დანიელები ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი სენსაციის ავტორები გახდნენ.



ფეხბურთის მესია ეს მესია

დიახ მესი და არა მესი. მესი – ასე უფრო ძლიერად ჟღერს. დიახ, ეგრე მინდა, განსაკუთრებით გუშინდელი თამაშის შემდეგ. (ეს თამაში 2012 წლის 19 თებერვალს გაიმართა). გუშინ „ბარსელონა“ შინ „ვალენსიას“ ხვდებოდა. „ვალენსია“ ყოველთვის საინტერესო მეტოქეა „ბარსასთვის“ და ამიტომაც გადავდე თავი ამ მატჩის საყურებლად – ჩვენი დროით ხომ საკმაოდ გვიან იწყება ესპანეთში შეხვედრები. არც მინანია ან როგორ უნდა მენანა, როდესაც ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაული ვიხილე. ბარსელონა ბარსელონად, მაგრამ ცალკე თემაა „მესის“ თამაში. იგი სწორედ რომ გუნდურ თამაშს თამაშობს, მაგრამ პირველ რიგში თვალსაჩინო მისი ინდივიდუალური სიძლიერეა.



გუშინ არგენტინელი კატალონიური გუნდის შემადგენლობაში მეორასე მატჩს ატარებდა და მან მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაიტანა. „მესიმ“ კი არ ითამაშა, არამედ გაილაღა მოედანზე. სისწრაფე, ტექნიკა, თავდაჯერებულობა, გნება ვთუბრალოება და გონიერება აშკარად იგრძნობოდა.

ნალისტს უთქვამს: ამდენი ხანია ვარსკვლავია და ინგლისურად ვერ ლაპარაკობსო. ნუ ილაპარაკებს, ვის სჭირდება „მესის“ ინგლისური. მან უნდა ითამაშოს და თუნდაც საერთოდ ნუ ამოიღებს ხმას.

კარგა ხანია ასეთი დიდი სიამოვნება არ მიმიღია. ძალიან გავხალისდი და უფრო ახლობელი ქალიც გავხდი ქმრისთვის. ისე ფეხბურთის გარდა ინტერესების სხვადასხვა სფერო გვაქვს. აი, ფეხბურთში კი ორივე ერთნი ვართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „ბარსელონა“ და მესი თამაშობენ. გაგიმარჯვოს მესსი!

ვიღაც უფრ-

ლალი მიჩაპი

შაჩაჩა
წილი 1 ლარი
ახე

თქვენი პატარავებს
გაბედობიანი
სიხარული

გითამაშეთ, ბავთობით, ფეხით, ცაყითადაც!

გაბედელ კანკუნტაშვილი

**ხარისხის
განივლა**

ინილეთ ელემენტარული ზიგნების კანტაქტუვი

<http://saba.com.ge/>

ხარისხ კინეჩაგვილი

**ღროუი
გარდაბანი
ბოზი**

მსოფლიოს მსოფლიო ფაქტები



თენგიზ სულაქველიძისა და დიეგო მარადონას „ჭიდაობა“



რომარიო და გელა კეტაშვილი ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპოვებელი ორთაბრძოლისას.



გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთა გარემოცვაში



სამი ძმა არველაძე ერთ ნაკრებში



კახა კალაძე და რონალდინიო

აჲ, იყი, იყი!..

ფეხი უნდა



სპორტული

ფერგიუსონი მანჩესტერაშ

ალექს ფერგიუსონი საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. 1999 წელს დედოფალმა ელისაბედ მეორემ შოტლანდიელს რაინდის წოდება უბოძა. ის „მანჩესტერ იუნაიტედს“ მრავალი წლის განმავლობაში ედგა სათავეში და მისი რეპუტაცია არა ერთხელ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, მაგრამ ფერგიუსონის დევიზი იყო „არ აღიარო მარცხი ფინალურ სასტვენამდე“.

ვანას ყველა კუთხიდან მოდიოდნენ. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ფეხბურთი.”

ფერგიუსონის ოცნება „რეინჯერსში“ თამაში იყო და ამისთვის მან ყველაფერი გააკეთა. მას სამსახური სჭირდებოდა, რათა ფეხბურთისთვის თავი არ დაენებებინა. მან იცოდა, რომ ყველანაირი მონაცემები ჰქონდა იმისათვის რომ ფეხბურთელი გამხდარიყო. ალექსმა მუშაობა დაიწყო და შეთავსებით არაოფიციალურ აღლუმებზეც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ფეხბურთი არ ავიწყდებოდა და თამაშობდა მოყვარულთა გუნდებში. მისი პროფესიონალური კარიერა 1958 წელს, ჩვიდმეტი წლის ასაკში დაიწყო. იგი „ქუინზ პარკში“ ჩაირიცხა, იქ ორი წელი გაატარა და 31 მატჩში 20 გოლი გაიტანა. მაგრამ მან ვერ შეძლო ძირითად შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნება და 1960 წელს „სენტ-ჯონსტონში“ გადავიდა.



ფერგიუსონმა ამ გუნდში ოთხი წელიწადი გაატარა. 1964 წელს „სენტ-ჯონსტონი“ „რეინჯერს“ შეხვდა და ალექსმა კლუბს, რომელსაც ბავშვობაში ქომაგობდა სამი გოლი გაუტანა. იმ დღეს „აიბროქსის“ სტადიონზე „სენტ ჯონსტონმა“ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მოუგო გლაზგოურ გიგანტს. შემდეგ „დამფერლაინში“ გადავიდა და უფრო უკეთ ათამაშდა. 89 მატჩში 66 გოლიც გაიტანა, თუმცა 1964/65 წლების სეზონში მას წარუმატებლობის პერიოდი დაუდგა. როდესაც ერთი საათი რჩებოდა შოტლანდიის თასის ფინალამდე, იგი შემადგენლობიდან ამოაგდეს. მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ფერგიუსონმა ცუდად ითამაშა წინა თამაშზე „სენტ ჯონსტონის“ წინააღმდეგ. ამის გამო ალექსმა მწვრთნელს ნაძირალა უწოდა. „დანფერმლაინმა“ ის მატჩი წააგო ანგარიშით 2:3. გუნდი ქვეყნის პირველობაზეც დამარცხდა, ჩამორჩა რა ერთი ქულით ჩემპიონატის გამარჯვებულს. შემდეგ სეზონში ფერგიუსონმა 51 მატჩში 45 ბურთი შეაგდო და ამ შედეგით მან ლიგის ბომბარდირის ჯილდო „სელტიკის“ თავდამსხმელთან ჯო მაკბრაიდთან ერთად გაიწიწილა. 31 აპრილს გოლიდან ფერგიუსონმა ჩემპიონატში გაიტანა.

როდესაც ფერგიუსონი 1986 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელად დაინიშნა, ინგლისელი ფეხბურთის ქომაგებისთვის ის ჯერ კიდევ უცნობი იყო, თუმცა მას შოტლანდიის ფეხბურთისთვის უკვე ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული. ალექსმა „აბერდინი“ ქვეყანაში პირველ გუნდად აქცია და უკან ჩამოიტოვა ისეთი გუნდები, როგორებიც არიან „სელტიკი“ და „რეინჯერსი“. მან „აბერდინს“ ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოაპოვებინა.

ტარა ალექსი იქ თავის მშობლებთან და პატარა ძმა მარტინთან ერთად ცხოვრობდა. ოჯახს ძალიან უჭირდა, მაგრამ ალექსი ცხოვრებას ოპტიმისტის ტურით უყურებდა. იგი ჭკვიანი ბავშვი იყო და ერთხელ როდესაც თექვსმეტი წლის ასაკში გამოცდაზე ჩაიჭრა, გადაწყვიტა რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო. მას ფეხბურთი მას შემდეგ შეუყვარდა, როდესაც პირველად შეეხო ბურთს და იმის მიუხედავად, რომ ფერგის მამა „სელტიკის“ გულშემოყვარული იყო, ალექსი და მისი ძმა მარტინი „რეინჯერს“ ქომაგობდნენ. ალექსის ოცნება იყო, რომ „რეინჯერსის“ შემადგენლობაში ეთამაშა და „აიბროქსის“ სტადიონზე „სელტიკს“ შეტოქებოდა. ფერგიუსონმა თავისი ბავშვობა რამოდენიმე სიტყვით ახსნა:

„იყო ფეხბურთი, ფეხბურთი და მხოლოდ ფეხბურთი. ჩემი სახლის წინ მოედანი იყო, ასე რომ ბურთის გორება სულ შემეძლო. მეზობლებს სარეცხის გაფენის საშუალებაც არ ჰქონდათ – სულ ვთამაშობდით და ეს მთელი ზაფხული გრძელდებოდა. ფეხბურთის სათამაშოდ, ბიჭები ჰო-

სერ ალექს ფერგიუსონი 1941 წლის 31 დეკემბერს ჰოვანაში დაიბადა. თავის პატარაობას იგი ყოველთვის კარგად იხსენებდა და ამბობდა, რომ ძალიან ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. ფერგიუსონს სახელი მამის საპატივცემულოდ დაარქვეს, რომელიც ხომალდმშენებლობაზე მუშაობდა და მოგვიანებით ალექსის უმცროსმა ძმამ მარტინმაც მამასთან ერთად დაიწყო მუშაობა. ფერგი ქალაქ ჰოვანაში, შილდჰოლის ქუჩაზე, თავისი ბებიის ჯანეტის (დედის მხრიდან) სახლში დაიბადა. თუმცა იგი დაქორწინებულ ბინაში ჰარვარდ-როუდზე იზრდებოდა. პა-



ალექს ფერგიუსონი ფეხბურთელობისას

გავიდა წლები და „რეინჯერს-მა“ ფერგიუსონში იმ დროისათვის რეკორდული თანხა 65000 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იგი თავისი კარიერის პიკს მიახლოვებოდა, ის 1969 წელს აღიარეს ერთ-ერთ იმ დამნაშავედ, ვის გამოც შოტლანდიის თასის ფინალში „რეინჯერსი“ დამარცხდა „სელტიკთან“ ანგარიშით 4-0. ფერგიუსონი გუნდიდან გაუშვეს. მისი ძმა ამბობს, რომ იგი იმდენად გაბრაზებული იყო, რომ გადააგდო ის ჯილდო, რომელიც ფინალში მიიღო.

ამბობენ, რომ იგი გუნდიდან წავიდა რელიგიური დისკრიმინაციის გამო, იმიტომ რომ კათოლიკე ცოლი მოიყვანა. თუმცა თავის ავტობიოგრაფიაში „მართე შენი ცხოვრება“ მან აღნიშნა, რომ საქმე ამაში არ იყო: გუნდმა იცოდა მისი ცოლის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ ყველაფერი, როდესაც ფერგიუსონი კონტრაქტს აწერდა ხელს. გუნდიდან ის ზემოთხსენებული ფინალის გამო გაუშვეს. შემდეგი წლის ოქტომბერში „ნოტინგემ ფორესტს“ სურდა მისი შექენა, მაგრამ მისმა ცოლმა კეტიმ უარი განაცხადა ინგლისში ცხოვრებაზე, ამიტომ იგი გადავიდა „ფალკირკში“. ფერგიუსონი გუნდში მოთამაშე მწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ ჯო პრენტის მოსვლის შემდეგ მას მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს. ამის გამო, ფერგიუსონმა გამოთქვა სურვილი სხვა გუნდში გადასულიყო და 1973 წელს გადავიდა „ეირ იუნაიტედში“, რომელშიც დაასრულა კიდევ საფეხბურთო კარიერა.

სამწვრთნელო კარიერა ფერგიმ 32 წლის ასაკში „ისტ სტირლინგშირში“ დაიწყო, სადაც ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა. კვირაში იგი 40 ფუნტ სტერლინგს ღებულობდა. მან გუნდში რკინისებური დისციპლინა დაამყარა, რის გამოც ზედმეტსახელად „უშიშარი ნაძირალა“ შეარქვეს. გუნდის თავდამსხმელმა ბობი მაკალმი ფერგიუსონზე თქვა:

“მან ჩვენ დაგვაშინა. აქამდე არავისი არ მეშინოდა, მაგრამ იგი თავიდანვე საშინელი ნაძირალა იყო. მან ყველაფერი თავის მიზნებს მორაგო. დროს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არასდროს არ ატარებდა საათს. თუ მას რაიმეს დასრულება უნდოდა, ან გვიანობამდე რჩებოდა მოედანზე ან დილას ადრე მოდიოდა. იგი ყოველთვის გვიერთდებოდა ვარჯიშებზე და გვათამაშებდა სიბნელეში იქამდე, სანამ მისი ხუთეული არ გაიმარჯვებდა. იგი ყინიანი, გიჟი და ენერგიული იყო.”

ექვსი თვის შემდეგ, ჯოკ სტინის რჩევით, ფერგიუსონი „ისტ სტირლინგში“ „სენტ მირენში“ გადავიდა. წლების შემდეგ, ტონი ფრიცპატრიკმა, მაშინდელმა გუნდის კაპიტანმა ფერგიუსონზე თქვა: “მან გამხადა კაპიტანი, როდესაც ჯერ კიდევ ჩვიდეთი წლის ვიყავი და ყოველთვის პატივისცემით მექცეოდა. ბევრჯერ გამიგია, თუ როგორ საუბრობდნენ მასზე და რა რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის არასდროს არ უსვრია ჩაის ჭიქა ან სხვა რამე. ფერგიუსონს ახალგაზრდული გუნდი ყავდა და ამის გაკეთება არ იყო საჭირო. ვფიქრობ, რომ ის იმ ადამიანთა სიას მიეკუთვნება, რომლებიც ისტორიაში შედიან.”

1978 წელს, როდესაც იგი „სენტ მირენიდან“ „აბერდინში“ გადავიდა, გუნდი გადარჩენისათვის იბრძოდა რათა მეორე დივიზიონში არ დაქვეითებულიყო, მაგრამ ფერგიუსონი მივიდა „აბერდინში“ და ამ გუნდმა მის ხელში ქვეყნის ჩემპიონატი სამჯერ, შოტლანდიის თასი ოთხჯერ და როგორც ზემოთ ავლნიშნე ევროპის თასების

მფლობელთა თასი მოიგო. აბერდინმა ფინალში არც მეტი, არც ნაკლები, თვით მადრიდის „რეალი“ დაამარცხა ანგარიშით 2:1.


ეს ყველაფერი მან რვა ნახევარ წელიწადში შეძლო და თუ გავითვალისწინებთ იმას თუ რამხელა განსხვავება იყო ბიუჯეტში „აბერდინსა“ და გლაზგოურ „გრანდებს“ შორის, ფერგიუსონის ეს მიღწევები მართლაც, რომ ზღაპრულად გამოიყურება.

მაშინდელი გუნდის ნახევარმცველი ალექს მაკლიში ამბობს: “ალექსი ლიდერად არის დაბადებული ამ ქვეყანაზე. მას ყველაზე მეტად ეს გამოხდის. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი გუნდთან მუშაობს ის. თუნდაც ეს იყოს „მანჩესტერ იუნაიტედი“. ფერგიუსონი ნებისმიერ გუნდთან მიაღწევს წარმატებებს. ის ფეხბურთელებს უნერგავდა დიდ რწმენას და მათ სჯეროდათ მისი. მაშინაც კი როდესაც ჩვენ მადრიდის „რეალს“ ვეთამაშებოდით, ალექსი საერთოდ არ ნერვიულობდა და ყურადღებას აქცევდა იმას, რომ არც ჩვენ გვენერვიულა. მას გიგანტური სულისკვეთება აქვს”.

წარმატება, რომელიც ფერგიუსონმა „აბერდინთან“ ერთად მოიპოვა, ერთისმხრივ შურის ძიება იყო „რეინჯერსისადმი“. 8 წლის განმავლობაში ფერგიუსონმა არ გაახარა არც „სელტიკი“ და არც „რეინჯერსი“. მის მოსვლამდე გუნდს ტიტული 1955 წლამდე ვერ მოეგო, მაგრამ ფერგიუსონმა გამოასწორა სიტუაცია და 1980 წელს „აბერდინი“ ჩემპიონი გახდა. ფერგიუსონმა იგრძნო, რომ დაიმსახურა პატივისცემა თავისი ფეხბურთელებისაგან და შემდეგ თქვა: „ეს იყო წარმატება, რომელმაც გაგვაერთიანა ჩვენ. მე როგორც იქნა შევიძინე ფეხბურთელები, რომლებ-



ფერგიუსონმა „აბერდინს“ თასების თასი მოაგებინა.



საც სჯერათ ჩემი.“ შემდეგ „აბერდინმა“ ჩემპიონატი ორჯერ მოიგო: 1984 და 1985 წლებში. ამის გარდა გუნდმა სამჯერ მოიპოვა ზედიზედ შოტლანდიის თასი: 1982, 1983 და 1984 წლებში, მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მაშინ მიანიჭა გულშემატკივრებს, როდესაც დაამარცხა მადრიდის „რეალი“ თასების მფლობელთა თასის ფინალში.

სანამ ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი გახდებოდა, მანამდე მას ცოტახნით მოუწია შოტლანდიის ნაკრების განვრთნა – ეს მოხდა ჯოკ სტენის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ. 1985 წლის

10 სექტემბერს, საკვალიფიკაციო მატჩის დროს, უელსის წინააღმდეგ, ფერგი სელტიკის ყოფილ მწვრთნელთან ერთად იმყოფებოდა სათადარიგო სკამზე და ეხმარებოდა მას ნაკრების მატჩზე. თამაშის დამთავრებამდე სტენის გულის შეტევა მოუვიდა

და გონება დაკარგა. ის მატჩი ფრედ დამთავრდა, თუმცა ამას აზრი აღარ ჰქონდა. ჯოკ სტენი გარდაიცვალა წინიან პარკის გასახდელში.

ფერგიუსონმა თავისი ტკივილი ოცი წლის შემდეგ გამოხატა. იგი ყვებოდა: „დღესაც მენატრება ის დღეები, როდესაც ის შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი იყო, მე კი მისი ასისტენტი ვიყავი. მას ღამეები არ ეძინა და ლაპარაკობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შევეკითხებოდი. ღამის სამ საათზე მე ხშირად ვეუბნებოდი: „ჯოკ, ხვალ 12 საათზე გუნდი უნდა ვავარჯიშო, თქვენი

არ ვიცი მაგრამ მე ვიძინებ“. ის კი მპასუხობდა: „თქვენ შეგიძლიათ დილასაც წაიძინოთ ცოტა.“ შემდეგ შეტრიალდებოდა გუნდის მასაჟისტ ჯიმი სტილისკენ და ეტყოდა: „სტილი, შეუპვეთეთ კიდეც ერთი ჭიქა ჩაი, გთხოვთ.“ მისი მოსმენა ძალიან საინტერესო იყო. როდესაც საუბრობ ხალხთან, ისინი აუცილებლად ახსენებენ თავის საქმეს და შეიქებენ საკუთარ თავს. მაგრამ ჯოკზე შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველთვის, როდესაც მე ვეკითხებოდი „სელტიკზე“ და იმას თუ როგორ მიაღწია ამდენს, იგი არასდროს არ მპასუხობდა.“

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფერგიუსონი 1985 წლის 16 ოქტომბრიდან 1986 წლის 13 ივნისამდე იმყოფებოდა.

შემდეგ მასზე ძალიან დიდი ინტერესი აღიძრა – „ბარსელონას“, „არსენალს“, „რეინჯერსს“, „ტოტემჰემს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდათ იგი მწვრთნელად. „ტოტემჰემის“ წინადადება ძალიან სარფიანი იყო ფერგიუსონისათვის და იგი ღამის დათანხმდა მათ, მაგრამ როდესაც მან მოისმინა მანჩესტერელთა შემოთავაზება, გადაიფიქრა და წითელი ემბაკები აირჩია.

„დიაგონალიდან“ „ტრიპედე“

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური


ნაწივეცი ივანე თევზაძის ნაშრომიდან

ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ურყევ ჭეშმარიტებად ყოველთვის ითვლებოდა ის აზრი, რომ 1958 წლის შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელთა მთავარ იარაღს მათ მიერ აღმოჩენილი ტაქტიკური სქემა 4+2+4 წარმოადგენდა. ბრაზილიელები არ დაობენ ამის შესახებ და ამტკიცებენ, რომ მათვე შექმნეს ხსენებული სქემის მონათესავე ფორმულაც – 4+3+3. და – რაც ყველაზე საოცარია! – შექმნეს იქვე, შვეციაში... იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად დასაბუთებულია ეს „საავტორო განაცხადი“, აუცილებლად ზოგადად მაინც უნდა გადავხედოთ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ფეხბურთის ტაქტიკისა და სტრატეგიის სფეროში ბრაზილიელთა ძირითადი კონცეფციებისა და იდეების განვითარების ისტორიას.

პირველი წვლილი ბრაზილიელებმა მსოფლიო ფეხბურთის ტაქტიკურ საგანძურში ორმოციანი წლების დასაწყისში შეიტანეს: „დუბლ-ვეს“ სისტემის საყოველთაო ბატონობის ეპოქაში ცნობილმა მწვრთნელმა ფლავიო კოსტამ ფეხბურთის სამყაროს ამ სქემის მოდიფიცირებული ვარიანტი შესთავაზა, რომელსაც შემდგომში „დიაგონალი“ ეწოდა. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: მოთამაშეთა ფუნქციების

განაწილება არ განსხვავდებოდა „დუბლ-ვესგან“ (სამი მცველი, ორი ნახევარმცველი და ხუთი თავდამსხმელი, ორი უკანდანული „შუამარბით“), მაგრამ ოდნავ იცვლებოდა მინდორზე ფეხბურთელთა პოზიციები და, ამით ზუსტდებოდა მათზე დაკისრებული სათამაშო მოვალეობა. ამ სისტემის მიხედვით, ნახევარდამცველებისა და შუამარბის ყოველი წყვილი ოდნავ მიინევიდა წინ დიაგონალური მიმართულებით.

მაგალითად, მარცხენა ინსაიდი ნაინ-ევედა თუ არა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მისადგომებისაკენ, მას იმნამსვე მიჰყვებოდა შესაბამისი



„ტრიპეს“ ავტორი აიმორე მორეირა

ნახევარდამცველიც. ამრიგად, მეორე – მარჯვენა წყვილი ინსაიდისა და ნახევარდამცველისა, მარცხენა წყვილთან შედარებით, ოდნავ უკან რჩეოდა. „დიაგონალის“ მთავარი ღირსება ის იყო, რომ წინაწინააღმდეგობაში (ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში – მარცხენა) აძლიერებდა დაწოლას მინდვრის ყველაზე სახიფათო მონაკვეთში: საჯარიმო მოედნის უშუალო სიახლოვეს. ამასთან იგი თავდაცვას (იმ ხანებში სამი მცველისაგან შემდგარს) უტევდა მარჯვენა და ცენტრალური დამცველების ზონაში, რომლებიც ამ დროს „თავიანთი“ მოთამაშეების: მარცხენა გარემარბისა და ცენტრალური თავდამსხმელის უვნებელყოფით იყვნენ გართული. როგორც ვხედავთ, ამაში გამოვლინდა „დიაგონალის“ შემცველი სქემის – 4+2+4-ის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი, კერძოდ, მომავალი ორი ცენტრალური თავდამსხმელის პირველსახე.

„დიაგონალმა“ 50-იანი წლების მეორე ნახევარში უზრუნველყო კონტინენტზე ბრაზილიელთა განუყოფელი ბატონობა (1949 წელს, მაგალითად, ნაკრები გახდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, გაიტანა რა 8 მატჩში 46 ბურთი!). „დიაგონალის“ შემქმნელმა ფლავიო კოსტამ „ვასკო-და-გამაში“, „ფლამენგოსა“ და ნაკრებში 20 წლის მუშაობის მანძილზე დაახლოებით 50 ტიტული მოიპოვა. ყველა, გარდა ერთისა – ყველაზე მთავარი ტიტულისა: 1950 წელს მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წააგო ურუგვაელებთან, რის შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე ბრაზილიაში, მწვრთნელი გააძევეს, მისი იდეები კი შეაჩვენეს.

უკვე მომდევნო წელს მინას-ჟერაისის შტატის „ვილანოვას“ ფეხბურთელთა გუნდის მოკრძალებულმა პროვინციელმა მწვრთნელმა ფრანსისკო რიბეირომ ანდრადემ წარმოადგინა „დიაგონალის“ უფრო სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც შემდგომში ბრაზილიის ყველა გუნდმა მიიღო და 1958 წელს თავისი უბრალოებით და გენიალურობით ფეხბურთის მთელი სამყარო შეძრა.

ფრანსისკო რიბეირომ ლოგიკურად დააგვირგვინა ფლავიო კოსტას იდეა და საბოლოოდ წასწია ცენტრისკენ მარცხენა გარემარბი, რითაც შექმნა ორი ცენტრალური თავდამსხმელი. მარჯვენა ინსაიდი უკან დარჩა და, ერთ-ერთ ნახევარდამცველთან ერთად, მინდვრის ცენტრის კონტროლი დაეკისრა.


ამასთან, მეორე ნახევარდამცველმა უკან დაიწია და გახდა მეოთხე დამცველი. ასე გაჩნდა თამაშის ახალი სისტემა – 4+2+4, რომელიც ბრაზილიელებს დაეხმარა 1958 წელს დაეჩოქებინა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის აღიარებული ფავორიტები: საფრანგეთი, შვეცია და სხვები.


მაგრამ თვით ბრაზილიელებს მიაჩნიათ, რომ შვეციასა და ჩილეშიც ამ სისტემას ისინი მხოლოდ იერიშის დროს იყენებდნენ, ხოლო როცა ბურთს მოწინააღმდეგე ეუფლებოდა, მარცხენა გარემარბი ზაგალო ყოველთვის უკან იხევდა და ორ ნახევარდამცველს უერთდებოდა, უფრო ზუსტად – ხდებოდა დაცვითი ხაზის მეშვიდე ელემენტი.

„ჩვენ ექვსი მოთამაშით ვუტევდით, კარს კი შვიდნი ვიცავდით ხოლმე“, – მიაბობდა ზაგალო. ამით

იგი ხაზს უსვამდა, რომ შეგნებულად იხევდა ნახევარდაცვაში, რათა თავის ფლანგზე მეტოქის შეტევის შემთხვევაში არ მიეცა მისთვის თავისუფლად მოქმედების საშუალება და მინდვრის ცენტრში უვნებელყო მოწინააღმდეგის ნახევარდამცველთა აქტიურობა. (ამხანაგებმა ღირსეულად დააფასეს ყოველ მატჩში ზაგალოს ტიტანური შრომა და მას საალერსო სახელი – ოქროს ჭიანჭველა შეარქვეს).

ეს ვრცელი ისტორიული ექსკურსი იმისათვის დაგვჭირდა, რომ უკეთ გაგვეგო იდეები, რომლებიც დღეს ასე აღელვებს ბრაზილიის ფეხბურთის თეორეტიკოსებს. ახლა ბრაზილიაში აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სისტემა – 4+2+4 საბოლოოდ მოძველდა და დროა, არქივს ჩაბარდეს.





ამ აზრს მხოლოდ ანტონინო არ იზიარებს, „სანტოსის“ – ბრაზილიის საუკეთესო გუნდის მწვრთნელი. თითქმის მთელი სპორტული პრესის დაცინვისა და აბუჩად აგდების მიუხედავად, „სანტოსი“ განსაცვიფრებელი შეუპოვრობით განაგრძობს ამ დაგმობილი, შეჩვენებული და დავეინყებას მიცემული „არქაული“ სისტემით თამაშს. თამაშობს და... იგებს კიდევ ყველა ტურნირს, რომელშიც მონაწილეობს. 1968 წელს, მაგალითად, „სანტოსმა“ მოიგო სან-პაულუს შტატის პირველობაც და „ვერცხლის თასიც“, რომელიც ფაქტიურად ქვეყნის ჩემპიონატს წარმოადგენს. გაიმარჯვა აგრეთვე ორ საერთაშორისო ტურნირში – ჩილესა და არგენტინაში, სადაც დაამარცხა ისეთი სოლიდური გუნდები, როგორც არის ჩეხოსლოვა-

კიის ნაკრები, „ვაშაში“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, „ბენფიკა“ ... „რა საჭიროა ათასნაირი სიახლის ძიება? – ეშმაკური ღიმილით ამბობს ანტონინო. – რახან ვიგებთ, ესე იგი სწორად ვთამაშობთ. თავად განსაჯეთ: ჩემთან, „სანტოსში“, თავმოყრილი არიან მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდები – პელე, ტონინო, ედუ და აბელი. ასეთი ოთხეული არც ერთ ეროვნულ ნაკრებს არა ჰყავს... განა შემიძლია, რომელიმე მათგანი უკან დავნიო? არა, ვერ ჩავიდენ ცოდვას!..“

მაგრამ „სანტოსი“ გამონაკლისს წარმოადგენს. ბრაზილიის დანარჩენმა გუნდებმა მაინც აირჩიეს ახალი ფორმულა – 4+3+3. ამასთან, ბოლო დროს გაჩნდა ამ ფორმულის რამდენიმე ვარიანტი. აქედან ორი მათგანი განსაკუთრებით საინტერესოა და

უკვე გავლენას ახდენს ნაკრების ტაქტიკურ კონცეფციებზე. განვიხილოთ ისინი დანვრილებით.

4+3+3-ის პირველი ვარიანტი მუშავდება „ბოტაფოგოში“ ზაგალოს ხელმძღვანელობით, რომელმაც ამ კლუბის მწვრთნელად გახდომისთანავე დაიწყო ჯერ კიდევ შვეიციაში მოფიქრებული თავისი იდეების განვითარება. „ბოტაფოგოში“ მესამე ნახევარდამცველის როლს ასრულებს მარცხენა გარემარბი პაულო სეზარი (ნაკრების წევრი), რომელიც ნახევარდამცველებთან აფონსინიოსა დაკარლოს რობერტოსთან ერთად აკონტროლებს მიწვერის ცენტრს. ფიზიკური გამძლეობა პაულო სეზარს ეხმარება მონინალმდეგის საჯარიმო მოედანზე სახიფათო რეიდების ჩატარებაში. ამ რეიდებს იგი მაშინ იწყებს, როცა მისი მოჩვენებითი პასიურობით დამშვიდებულ დამცველებს მთელი ყურადღება აგრესიულ მარჯვენა გარემარბსა და ცენტრალურ თავდამსხმელთა წყვილზე გადააქვთ. ამ სქემის წარმატებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ „ბოტაფოგომ“ 1967 – 1968 წლებში 5 საპასუხისმგებლო ტურნირში გაიმარჯვა.

4+3+3-ის მეორე ვარიანტი წამოაყენა ბელუ-ორიზონტის ფეხბურთელთა გუნდმა „კრუზეირომ“, სადაც ტრადიციულ ნახევარდამცველთა წყვილს მესამე ელემენტად ემატება უკან დანული ერთ-ერთი ცენტრალური თავდამსხმელი (ტოსტაო). ეს ტრიო მთელი შემადგენლობით (ტოსტაო, დირსეუ ლოპესი და ზეკარლოსი) შეიყვანეს ნაკრებში და აიმორე მორეირამ მას თავსამტკრევი სახელი „ტრიპე“ შეარქვა.

ეს ტერმინი ახლა ყველაზე პოპულარულია ბრაზილიის ფეხბურთის სპეციალისტების გაუთავებელ დავაში. ჩემ კითხვაზე, თუ რით განსხვავდება „ტრიპე“ ევროპული ფორმულისაგან – 4+3+3, აიმორე მორეირამ მიპასუხა, მათ შორის უმნიშვნელო არსებითი განსხვავებააო. მისი ჩანაფიქრით, მოთამაშეთა ცენტრალური სამეული, რომელიც აკონტროლებს საშუალო ზონას, უნდა იყოს კლასიკური სქემის (4+3+3) ტრიოზე უფრო მობილური, აქტიური და მოძრავი. „ტრიპეს“ წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ დაცვაშიც, იერიშის მომზადებაშიცა და მის დაგვირგვინებაშიც. ამ ტრიოზე დამოკიდებული გუნდის წარმატებები, ამიტომ, როგორც ეს აიმორე მორეირამ თქვა, „მათ მარტო პიანინოზე დაკვრა კი არა, მისი თრევაც უნდა შეეძლოს საკუთარი მხრებით“.

ამ ბოლო დროს ბრაზილიელი

მწვრთნელები ბევრს ლაპარაკობენ გუნდის ისეთ უნივერსალიზაციაზე, როცა თითოეული მოთამაშე შეძლებს შეასრულოს რამდენიმე განსხვავებული ფუნქცია. ასე თამაშობს, მაგალითად, ტოსტაო, რომელიც ერთნაირი წარმატებით ასრულებს აგრესიული ცენტრალური თავდასხმელის, მინდვრის სილრმეში დანეული ნახევარდამცველისა თუ მარცხენა გარემარბის როლს. მსგავსი იდეები სულ უფრო და უფრო ეუფლება ბრაზილიელ მწვრთნელთა გონებას (რაზეც, კერძოდ, „ფლამენგოს“ მწვრთნელის – ტიმის მუშაობა მეტყველებს).

თუმცა, ჯერჯერობით ბრაზილიის ფეხბურთში კვლავ ბატონობს სქემა 4+3+3, ხოლო მისი სრულყოფის გზების ძირითადი შემოქმედებითი ძიება, უმთავრესად, ნახევარდაცვის ზონაში მიმდინარეობს. შესაძლოა, მოკლე ხანში სწორედ აქ ჰქონდეს ადგილი აღმოჩენებსა და მოულოდნელობებს. მით უმეტეს, რომ დღეისათვის, „ოქროს ნაკრების“ ეპოქისაგან განსხვავებით, ბრაზილიის ფეხბურთის ყველაზე ნათელი ტალანტები, რომლებიც საუკეთესო გუნდების მთავარ ლერძს წარმოადგენენ, თავს იყრიან (რასაკვირველია, პელეს გარდა) ამ კოლექტივების ნახევარდაცვის რგოლებში: ფერსონი („სან პაულუ“), რიველინო („კორინთიანსი“), ტოსტაო, დირსეუ ლოპესი („კრუსეირო“), კლოდოალდო („სანტოსი“) და სხვები.

მეხიკოში თავისი მეტოქეებისათვის ამ აღმოჩენებისა და მოულოდნელობების მომზადება დაიწყო ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ჟოან სალდანიამ, რომელმაც ბრაზილიელებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. თუმცა, ვიდრე მისი მუშაობის შესახებ ვიტყვოდეთ რამეს, მოკლე ანალიზი გავუკეთოთ როგორც ნაკრების, ისე საერთოდ ბრაზილიური ფეხბურთის ძირითად ნაკლოვანებებს, რომელთა ლიკვიდაციაც სალდანიამ მთავარ ამოცანად დაისახა. აი, მთავარი მათგანი:

ჯერ ერთი, ბრაზილიელები კვლავ განაგრძობენ შეუწყნარებლად ნელ ტემპში თამაშს. იმ დროს, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის ნაკრები გუნდები თავიანთი ღრმა ზურგიდან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე ბურთის მიტანას ანდომებენ 2-3 გადაწოდებასა და 5-10 წამს, ბრაზილიელებს ამისათვის სჭირდებათ 15 წამზე მეტი და 5-7, ზოგჯერ კი მეტი გადაცემა. ბრაზილიელები თითქმის სრულიად არ სარგებლობენ სწრაფი კონტრშეტევებით, თითქმის

არასოდეს ცდილობენ იერიშის განვითარებას ბურთის „ერთი შეხებით“. ეს „ზოზინი“ ახასიათებს ნაკრებსაც და კლუბებსაც, პირველ რიგში კი – „სანტოსს“, „პალმეირასს“, „კორინთიანსს“, „ბოტაფოგოს“.

გაუთავებელი განივი გადაცემები სპორტული ფელეტონისტების საყვარელ გასაქირდავ თემად იქცა, რომლებიც მოითხოვენ, რომ თანამემამულეებმა ყურადღება მიაქციონ ევროპული გუნდების „რეაქტიულ“ სიჩქარეებს. აქვე ისიც უნდა ავლენიწნოთ, რომ ეს ნაკლი, უმთავრესად, მოთამაშეთა სისტემატური გადაღლით არის გამოწვეული, რადგან ისინი წელიწადში ასამდე მატჩს თამაშობენ, შვებულება კი მხოლოდ ორკვირიანი აქვთ.

მეორე უბედურება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სალდანიას მწვრთნელად დანიშვნის მომენტში, გახლდათ ნაკრების შემადგენლობის განუწყვეტელი ცვლა. ეს კი, რასაკვირველია, ხელს უშლიდა ხაზებსა და ცალკეულ მოთამაშეთა შორის ზუსტი ურთიერთკავშირის დამყარებას. დამცველები ზოგჯერ ისე გადადიოდნენ შეტევაზე, რომ საკუთარ კართან აღარავის ტოვებდნენ. ხდებოდა პირიქითაც: როცა მოწინააღმდეგე მთელი ძალის დაძაბვით იგერიებდა შეტევებს და დაცვის დასახმარებლად რამდენიმე თავდამსხმელსაც კი იშველიებდა, ბრაზილიელი მცველები არხეინად „ისვენებდნენ“ თავის ნახევარზე და არც კი ცდილობდნენ, დახმარებოდნენ ნახევარდამცველებს საშუალო ზონის კონტროლში.

ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში ნაკრები ყველაზე შთამბეჭდავ გამარჯვებებს მაშინ აღწევდა, როცა იგი ერთი რომელიმე ნამყვანი გუნდის ბაზაზე ყალიბდე-

ბოდა. მაგალითად, ბრაზილიელებმა გამანადგურებელი ანგარიშით – 4:1 დაამარცხეს არგენტინელები, როცა ნაკრებში „ბოტაფოგოს“ 8 წარმომადგენელი თამაშობდა. მატჩის ბოლო წუთებში ამ ნაკრებმა განსაცვიფრებლად ლამაზი კომბინაცია გაითამაშა. როგორც ამბობენ, ეს იყო ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კომბინაცია, რადგან გუნდმა ისე შეასრულა 53 (!) გადაცემა, რომ მოწინააღმდეგეს ფეხიც კი არ დააკარებინა ბურთზე! არგენტინელთა საჯარიმო მოედანზე ბოლო რამდენიმე გადაცემა შესრულდა ბურთის ერთი შეხებით და, აღფრთოვანებული ტრიბუნების შეძახილების ფონზე, დაგვირგვინდა ღიად დარჩენილ კარში გატანილი მეოთხე გოლით. მსოფლიოს ჩემპიონებს – ინგლისის ნაკრებს – მოუგია გუნდმა, რომელშიც სალდანიამ „სანტოსის“ 8 ფეხბურთელი ათამაშა.

ბრაზილიელ ფეხბურთელთა მესამე ნაკლი ტრადიციულია, თუმცა, იგი წლითინლობით სულ უფრო უშლის ხელს მათ. აქ ლაპარაკია ინდივიდუალური თამაშით ბრაზილიელთა გატაცებაზე, მათ მისწრაფებაზე, რაც შეიძლება გააოცონ მაყურებელი და მოწინააღმდეგე თავსატეხი ფინტებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ნაკარნახევი არ არის სათამაშო სიტუაციებით, და აწელებს იერიშის სწრაფ განვითარებას.

ბრაზილიის გუნდებისა, საერთოდ, და, კერძოდ, ნაკრების ნებისმიერ თამაშში არაერთხელ შეხვდებით ასეთ სურათს: მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში შეჭრილი ბურთის რომელიმე პაგანინი ასრულებს თვალისმომჭრელ ტრიუკებს, ორ-ორჯერ ატყუებს თითოეულ დამცველს, რის შემდეგ, მოხდელი მოვალეობის შეგნებით, ბურთს სადმე ცენტრალ-



მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალი. ზაგალო ინგლისელებს უტყვეს.



მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ფინალი. პელე შვედი ფეხბურთელების წინააღმდეგ.

ური წრის ზონაში აწვდის.

ეს წმინდა ბრაზილიური ულოგიკობა, ტიტანური შრომის მცირე შედეგთან შეუსაბამობა მაშინაც ვლინდება, როცა საკუთარი გულმოდგინებით აღტაცებული მოთამაშე ბურთიანად სერავს მთელ მინდორს, ატყუებს ორ-სამ მოწინააღმდეგეს, ეცემა, დგება, კვლავ მიჰქრის მთელი სისწრაფით, რათა, საბოლოოდ, ორ-სამ მეტრზე გადააწოდოს ბურთი თანაგუნდელს. პასის მოლოდინით გულგადაღებული ეს თანაგუნდელი კი გაცეცხლებულია და ვერ მიმხვდარა, ნუთუ მთელ ამ უთავბოლო სირბილს არ აჯობებდა მინდორის მთელ სიგრძეზე ჩანოდეებული ერთი გრძელი გადაცემა...

კიდევ ერთი ნაკლის შესახებ: ბრაზილიის ყველა გუნდი (რასაკვირველია, ნაკრებიც), დიდ „ლიბერალობას“ იჩენს მეტოქეთა მეურვეობისას. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელები თავიანთ მეურვეს არ ეთამაშებიან ახლოს, „იჭერენ“ გარკვეულ მანძილზე და მხოლოდ მაშინ ესხმიან თავს, როცა მას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ბურთი უკვე მიღებული აქვს და დამუშავებულიც. ანდა პირიქით, როცა ბრაზილიელები ევროპული გუნდების უხეშ მეურვეობას აწყდებიან, ხშირად იბნევიან, ნერვიულობენ და შეცდომებს უშვებენ ელემენტარული ტექნიკური ილეთების შესრულებისას.

არც ემოციური თავდაუჭერლობა შეიძლება ჩაეთვალოთ ბრაზილიელებს „აქტივში“. ხოლო ის განსაცვიფრებელი შედეგები, რომ-

ლებიც ზემოთქმული თავდაუჭერლობის სანაღმდეგოს მეტყველებს (1958-1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში გუნდის მიერ გამოჩენილი სიმტკიცე, მონოლითურობა, გამძლეობა) მიღწეულ იქნა მწვრთნელების, ექიმებისა და სპეციალური ფსიქოლოგის ფაქიზი და ხანგრძლივი მუშაობის წყალობით. ამასთან, ფსიქოლოგი შეყვანილი იყო „ტექნიკურ კომისიაში“, რომელიც ხელმძღვანელობდა ნაკრების მუშაობას. სამწუხაროდ, ეს გამოცდილება ამ ბოლო წლებში დავინწყებას მიეცა, რაც მომავალში, შესაძლოა, დამატებითი გართულებების საბაბი გახდეს.

მაგრამ მკითხველი, ალბათ, უნდობლობის გრძნობით იმსჯელება ამ სტრუქტურის ავტორისადმი, რომელმაც გაბედა და ხელი აღმართა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებზე, რომლებმაც 1965 წელს ზაფხულში ლუზნიკების სტადიონზე თავისი ბრწყინვალე გამოსვლით მოაჯადოვეს საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულები. მართლაც, მეტისმეტად მკაცრად ხომ არ ვსჯით გუნდს, რომელმაც სულ ახლახან ფრედ დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან, დაამარცხა „დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები“ და მსოფლიოს ჩემპიონი – ინგლისის ნაკრები, გუნდს, რომელსაც 1968-1969 წლების სეზონში ყოველ მატჩში საშუალოდ ორნახევარი გოლი გაჰქონდა?!

ვფიქრობთ, რომ არ ვაჭარბებთ. ბრაზილიელებმა ამ ბოლო წლებში

მართლაც ვერ ითამაშეს დამაჯერებლად, და ბრწყინვალე გამარჯვებებთან ერთად გაუმართლებელი დამარცხებებიც იგემეს. პელესა და მისი მეგობრების საფეხბურთო აღმაფრენის მომენტებს აპათიისა და სიზანტის მწუხარე პერიოდები ენაცვლებოდა. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბრაზილიელები „ჩამოვწროთ რეზერვში“ და ამოვშალოთ მეხიკოში ჟიულ რიმეს თასის ყველაზე რეალურ პრეტენდენტთა სიიდან! აუცილებელია ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ გუნდის სუსტი მხარეების უმეტესობა გამონვეული იყო მოთამაშეთა ძლიერი გადაღლით. მოთამაშეების, რომლებიც კლუბებში ბარბაროსულ ექსპლუატაციას განიცდიან. მომავალ წელს მექსიკაში გამგზავრებამდე კი ნაკრებს, უკვე დამტკიცებული მოსამზადებელი გემის მიხედვით, საკმაოდ დრო ეძლევა დასვენებისათვის.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიწვია ხელმძღვანელობაში ორგანიზაციულმა გაუგებრობამ, მწვრთნელთა საქმეებში კარტოლების, პირველ რიგში, „სენიორ პაულოს“ ჩარევამ და თვით მწვრთნელებს შორის ერთსულოვნების უქონლობამ. ბოლო დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპორტული საზოგადოებრიობის გამანადგურებელი კრიტიკის შედეგად ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელობამ მიიღო ნაკრების ხელმძღვანელობის ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებები. გუნდში მოვიდა ახალი მწვრთნელი, რომელმაც შეძლო მოთამაშეთა დარაზმვა, შექმნა ერთუზიანების ატმოსფერო და ფეხბურთელებს საკუთარ ძალთა რწმენა აღუდგინა. სალდანიას გააჩნდა ყველა აუცილებელი პირობა, პირველ რიგში – დრო, რათა განეხორციელებინა რეფორმა, მოექმენა ახალი ვარიანტები, გზები და ტაქტიკური სქემებიც კი... მით უმეტეს, რომ მის განკარგულებაში იყო ყველაზე მთავარი იარაღი: უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც სიფიცხის, თავდაუჭერლობისა და დალილობის მიუხედავად ძალ-ღონე შესწევთ განაცვიფრონ მსოფლიო არტისტული და ვაჟაკური, ლამაზი და ათლექტური, ინდივიდუალური და კოლექტიური თამაშით...

ვინ არიან ბურთის ეს ვირტუოზები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ მესამედ (და ამჯერად-მოდ) მოუპოვონ თავიანთ ქვეყანას ოქროს ქალღმერთი ნიკე?

პარსკვანძი

მია გურდული

ბასა

საქართველოში უდიდესი პიროვნებები, მათ შორის სპორტში ყოველთვის იყვნენ და ღვთის წყალობით კვლავაც იქნებიან. ტრადიციულ ორთაბრძოლებთან ერთად, გასული საუკუნის დასაწყისიდან ფეხბურთმა ისე მძლავრად მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში, ლამის ეროვნულ სახეობად იქცა, თუმცა გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ბურთაობა საქართველოში ოდითგანვეა ცნობილი.

დაგვეთანხმებით, ძნელია ისაუბრო სპორტსმენზე, რომლის ასპარეზობაც არ გინახია. მით უფრო, თუ ათლექტმა თავისი კარიერა შენს დაბადებამდე დაასრულა. მიუხედავად ამისა თანამედროვეებმა მისი სახელი შემოინახეს, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული. ასეთი იყო ავთანდილ ლოლობერიძე, რომელსაც გულშემატკივარი სიყვარულითა და მოფერებით ბასას ეძახდა.

შავი ზღვის პირას დაბადებული და გაზრდილი ყმაწვილი თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თანატოლები-სგან: ბურთაობდა, თევზაობდა, სამწყემსურშიც დადიოდა... ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თანატოლთაგან მაინც გამოირჩეოდა ფეხბურთის უსაზღვრო სიყვარულით, შრომის-მოყვარეობით, ერთგულებით.

ყველასთვის საყვარელ თბილისის „დინამოში“ ოფიციალურად 1943 წელს ჩაირიცხა, მაგრამ რომ არა ის ავბედითი მეორე მსოფლიო ომი, საოცნებო გუნდის მაისურს, ალბათ უფრო ადრეც მოირგებდა. ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბასას ბევრი გარჯა დასჭირდა. თუმცა ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა ფეხბურთელს დიდად არ გასჭირვებია სირთულეების გადალახვა, ანდა როგორ არ გაირჯებოდა, როდესაც გუნდში თვით ბორის პაიჭაძე დახვდა!

„სტაჟიანი“ გულშემატკივრები ახლაც ხშირად კამათობენ თუ რომელი თაობის გუნდი იყო უფრო ძლიერი. შედარება, ვფიქრობთ არასწორია. ფეხბურთში მაშინ სხვა მოთხოვნები იყო, დღეს სხვა, გარდა ერთის – თავდადების და ბრძოლის უინისა. ახალბედა სპორტსმენებს კი ვეტყვი, რომ იმ შორეულ წარსულში ჭინჭის ბურთით ფეხშიშველები თამაშობდნენ ბავშვები. მათი შხაპი მდინეთარდა, უდიდესი ნახტომი გააკეთა კაცობრიობამ ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ სპორტში მთავარი ფაქტორი ადამიანი რჩება.


ყოველივე ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დღევანდელ ზოგიერთ ფეხბურთელს მონდომება, თავგანწირვა აკლია. ამ თვისებების გარეშე კი წარმატებების მიღწევა შეუძლებელია.

თემიდან ცოტაოდენი გადახვევა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გარდა მაღალი ტექნიკისა, ავთანდილ ლოლობერიძე ერთგულებითა და თავდადებათაც გამოირჩეოდა. თავად განსაჯეთ ფეხბურთის თამაშს თავი 40 წლისამ დაანება! მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ახსოვს, რომ



იტალიელი მეკარე დინო ძოფი, (თანაგუნდელები მას „პაპა დინოს“ რომ ეძახდნენ) მსოფლიო ჩემპიონი 40 წლის გახდა, მაგრამ ის კარის დარაჯი იყო. ბასა შეტევებში მიუძღვოდა თანაგუნდელებს, გაჭირვების უამს თუნდაც პირადი ტრაგედიის გამოც არ მიუტოვებია თანაგუნდელები. ის ბორის პაიჭაძის შემდეგ მთელი ათი წელი გუნდის კაპიტანი იყო.

ბასას სპორტულ კარიერაში თავისთავად ჰქონდა წარმატებებიც და იმედგაცრუებაც, მაგრამ განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალი იყო, რო-



მელიც 1960 წელს თოვლიან ამინდში, მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან“ გაიმართა. მოგებული თამაში მსაჯებმა და სპორტის მესვეურებმა ჩვენს „დინამოს“ პირდაპირი გაგებით წაართვეს. ამის შემდეგ უკვე ასაკოვანმა მოთამაშემ სამწვრთნელო ასპარეზზე გადაინაცვლა და მშობლიურ გუნდს ორი წელი ავარჯიშებდა.

საფეხბურთო წრეებში ზოგჯერ აღიზიანებთ ტერმინი „ქართული ფეხბურთი“. ყველას თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ ასე მოიხსენიებდნენ თვით საბჭოეთის ყოფილ რესპუბლიკებში. პირადად არასოდეს მსმენია ვინმეს ეთქვას „რუსული“, „უკრაინული“, ან სხვა რომელიმე ერის ფეხბურთი, მაგრამ ტერმინ „ქართულ ფეხბურთს“ ყველგან და ყოველთვის გაიგონებდით. თბილისის „დინამო“ სხვა გუნდებისგან

თამაშის მანერით იყო გამორჩეული. თავად ფეხბურთი მხოლოდ თამაში როდია. იგი ხასიათების, პიროვნებათა ბრძოლაცაა. სწორედ საამისოდ საჭირო ძლიერი თვისებები ჰქონდა ჭარბად ბასას. კარიერის ბოლოს, მიუხედავად ასაკისა გუნდის ბურჯად რჩებოდა. მისი იმედი თანაგუნდელებს ყოველთვის ჰქონდათ, იცოდნენ კაპიტანი ბოლომდე დაიხარჯებოდა.

ავთანდილ ლოლობერიძის ქართული ხასიათი კარგად აქვს აღწერილი მწერალ გურამ ფანჯიკიძეს თავის მოთხრობაში „უკანასკნელი შეხვედრა“. მოგიყვანთ მცირე ნაწყვეტს:

„... პარიზში უკანასკნელი მატჩის შემდეგ, როცა სასტუმროში დაბ-



რუნდა, ნესტორმა ყური აუნია და დეუემა წააკითხა. ოთარი სიხარულით ჰაერში ახტა. თბილისიდან ბიჭის დაბადებას ულოცავდნენ.

გახარებულმა ყველანი რესტორანში შეიპატიჟა და ხუთი ბოთლი შამპანიური მოითხოვა.

– იცით, ჩვენს რესტორანში შამპანიური თორმეტი დოლარი ღირს! – დამტვრეული რუსულით აუხსნა ოფიციატმა.

– თორმეტი დოლარი?

– დაიხ! – ოფიციატმა ირონიულად გაიღიმა.

მაშინ კეთილი ინებებ და მოგვიტანეთ თორმეტი ბოთლი! – გოცებულ ოფიციატს ღიმილი ტუჩებზე შეახმა. „(საბჭოეთის დროს უცხოეთში მივლინებულებს და ტურისტებს საკმაოდ მცირე თანხას ატანდნენ ხელზე, რომელიც ყველამ კარგად იცოდა და დასციროდნენ)

თბილისის „დინამოს“ ფორმით

ავთანდილ ლოლობერიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში 343 მატჩი ითამაშა, გაიტანა 127 გოლი, ორჯერ იყო ვერცხლის მედალოსანი, ოთხჯერ მესამე პრიზიორი, არის ხალხთა სპარტაკიადის მეთრეადგილოსანი. ამის გარდა საკავშირო თასის გათამაშებაში ჩატარებულ 29 შეხვედრაში 12 გოლი აქვს გატანილი, 62 საერთაშორისო მატჩში 21 გოლი. საკავშირო ნაკრებში 3 ჯერ ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა. ეს უბრალოდ სტატისტიკისთვის, საიდანაც კიდავ ერთხელ ვრწმუნდებით გუნდში მის გარჯაზე.

„ბასაზე საუბარი ძნელიც არის და ადვილიც – ამბობენ ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებსაც მოედანზე უნახავთ და ახსოვთ მისი თამაში. – ადვილი იმით არის, რომ უბრალოდ გადახედავ მშრალ სტატისტიკას და იქაც კარგად ჩანს მისი ღვაწლი. მაგრამ შეუძლებელია

იმის აღწერა, რასაც ბასა აკეთებდა მოედანზე. თამაშის დროს თითქოს ცეკვავსო, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბასას შემდეგ ბევრ ფეხბურთელს, შეიძლება ვთქვათ ვარსკვლავს უთამაშია ჩვენს დინამოში, მაგრამ ბასა ყველასგან განსხვავებული იყო.“

....თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ბოლოს ავთანდილ ლოლობერიძე არენის რეკონსტრუქციის შემდეგ, 1976 წელს ვიხილეთ. სამწუხაროდ მხოლოდ საკაცით მიიყვანეს თანაგუნდელებმა და ახლობლებმა სტადიონზე, რათა საკუთარი თვალთ ეხილა განახლებული მშობლიური სტადიონი საწოლზე დიდხანს მიჯაჭვულ ვეტერანს. მახსოვს მისი ნაღვლიანი მაგრამ კმაყოფილი თვალები როდესაც ათვალიერებდა გრანდიოზულ ნაგებობას. მას შემდეგ კი... დაგვრჩა მხოლოდ ტკივილიან და სასიამოვნო მოგონებად დიდებული კაცი და ფეხბურთელი.

საფეხბურთო კრთსეორღი

თარაზულად:

1) მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის ნაკრებმა იტალიას 4:1 მოუგო. ვინ გაიტანა იტალიელთა მხრიდან გოლი?

2) ტურე

3) ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი.

4) ქალაქ გორის საფეხბურთო კლუბის სახელი.

5) რომელი ცხოველი იყო მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის თილისმა?

6) მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში, რომელმა ურუგვაელმა მოთამაშემ გაიტანა ბრაზილიელთა კარში გამარჯვების მომტანი გოლი?

7) დაასახელეთ კონტინენტი, სადაც 2002 წელს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი.

8) მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, რომელი ქვეყნის ნაკრები დაამარცხა პენალტების სერიაში არგენტინამ?

9) არგენტინისა და „ბარსელონას“ ლიდერი.

10) დაასახელეთ ვეტერანი ალბანელი ფეხბურთელის, ტარეს სახელი.

შვეულად:

1) ვეტერანი ხორვატი ფეხბურთელი.


2) ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი.

3) ლანჩხუთის „გურიისა“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე.

4) ბრაზილიელი თავდამსხმელი.

5) იტალიელი მეკარე.

6) ფეხბურთის სამშობლო.



7) ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი წევრის, ვან ბრონს-ორსტის სახელი.

8) მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაელი ფეხბურთელი.

9) მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი.

10) ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ წამყვანი მოთამაშე.

ವಿಜಯವಾಣಿ





საფეხბურთო ტვინსაღრღნელი

1) ვინ წვრთნიდა იტალიის ნაკრებს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე?



2) მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე, მესამე ადგილისათვის მატჩში, რომელმა ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანა გოლი?



3) ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა უელსს 5:0 მოუგო. ორი გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა, ხოლო თითო გოლი შოთა არველაძემ და გიორგი ქინქლაძემ გაიტანეს. დაასახელეთ კიდევ რომელი ქართველი ფეხბურთელი იყო იმ მატჩში გოლის ავტორი?



4) რომელ წელს დაიბადა თანამედროვე ფეხბურთი?



5) რომელ წელს დაამტკიცა ამსტერდამის კონგრესმა მსოფლიო თასის გათამაშების პროექტი?



6) რა ერქვა სტადიონს სადაც მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა?



7) დაასახელეთ ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი.



8) რამდენი გოლი გავიდა მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ფინალში?



9) 1996 წელს რომელი კლუბი გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული?



10) რომელ ნაკრებს აქვს კონფედერაციის თასი მოგებული ოთხჯერ?



11) დაასახელეთ მეკარე რომელიც მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების ღირსებას იცავდა.

„კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო ტვინსაღრღნელი“ პასუხები:

- 1)-ეუსებιο. 2)-ალექსანდრე ჩივაძე. 3)-სამჯერ.
- 4)-ლიეუის „სტანდარტი“. 5)-ფრანკფურტის „ინტრახტი“. 6)-პარიზის „პარი სენ ჟერმენი“. 7)-ამსტერდამის „აიაქსი“ 8)-კაროი დიტცი. 9)-ვარელა. 10)-ბრაზილიის ნაკრებმა. 11)-რევაზ ჩელებაძემ.

გვერდითი უმისჯუშუშე:
<https://www.facebook.com/JournalCommentator>

ფურნალი კომენტატორი - Journal Commentator



„ადიდასის“ ბურთი „აეტეკა“, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი, მექსიკა, 1986 წელი.
არგენტინელი დიეგო მარადონა და ბელგიელი ენცო შიფო

WORLD SOCCER

JULY 1981 60p

The INTERNATIONAL Magazine



DINAMO TBILISI

ISSN 2298-0970



9 772298 097000

EUROPEAN CUP WINNERS